# საერთო გაზეთი

№42 (547) • 4 დეკემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## რა სიურპრიზს უმზადებს ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს და მის პოლიტიკურ „შანტრაპას“?



სანდო წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციას დიდ სიურპრიზს უმზადებს და როგორც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე უახლოეს ხანებში აპირებს შევიდეს პარლამენტში ინიციატივით: ხელახლა დადგეს კენჭისყრაზე 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერით ჩატარების საკითხი





ცხადზე ცხადია, რომ აბსოლუტურად გაკოტრებული, ენერგიისგან დაცლილი „ნაცმოძრაობა“, იმპოტენტი, ჩუკენობისკენ მიდრეკილი ძალაა, რომელსაც „მთავარის“ ეკრანიდან მხოლოდ ნიკუტა გვარამიასგან მიწოდებული პოლიტიკური „ვიაგრით“ უდგას სული



## კოლექტიური ნაცები და ლევან ვასაძე ერთად იყვნენ, ერთად არიან და მომავალშიც ერთად იქნებიან



## არ არსებობს ეტაპებად დაყოფილი ისტორია, ეს არის ერთი მთლიანობა, რასაც ჰქვია ის, რისთვისაც ვცხოვრობთ – მარადიული საქართველო

## „ოპოზიციონერებო“, თქვენ ჩემისებო!













# რა სიურპრიზს უმზადებს ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილს და მის პოლიტიკურ „შანტრაპას“?



## სანდო წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციას დიდ სიურპრიზს უმზადებს და როგორც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე უახლოეს ხანებში აპირებს შევიდეს პარლამენტში ინიციატივით: ხელახლა დადგეს კენჭისყრაზე 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერით ჩატარების საკითხი

სანდო წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციას დიდ სიურპრიზს უმზადებს და როგორც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე უახლოეს ხანებში აპირებს შევიდეს პარლამენტში ინიციატივით: ხელახლა დადგეს კენჭისყრაზე 2020 წელს საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერით ჩატარების საკითხი.

პროექტში შეტანილი იქნება მცირეოდენი ხასიათის ცვლილებები, რაც იურიდიულ მოტივს შექმნის პროექტის განმეორებით კენჭისყრისთვის.

წყაროს ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს ამ გადაწყვეტილების შესახებ სანდო ადამიანების ვიწრო წრეში განუცხადებია და ისიც დაუმატებია, რომ გადაწყვეტილებას ის ოპოზიციის მხრიდან მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შიშის გამო კი არ იღებს, არამედ იმის გამო, რომ სურს 2020 წელს ჩატარდეს ისეთი არჩევნები, რომელიც ოპოზიციას, განსაკუთრებით კი „ნაცმოძრაობას“, საბოლოოდ მოუსპობს ყველანაირი პრეტენზიის საფუძველს.

2020 წლის არჩევნები უნდა გახდეს ქვეყნის სტაბილურობის გარანტი და არა ახალი საბაბი დაპირისპირებისა და კონფრონტაციისა, ამიტომ სჯობია, დავუბრუნდეთ ჩვენს თავდაპირველ ინიციატივას და ეს არჩევნები პროპორციული სისტემით ჩავატაროთ, რასაც ასე დაჟინებით ითხოვს ოპოზიცია და რაც, როგორც ვთქვით, ჩვენგან შეთავაზებული ინიციატივაა, — განუცხადებია ბიძინა ივანიშვილს.

ის დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ პროპორციული სისტემითაც დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და კოალიციური მთავრობის შექმნის პრობლემა არ დადგება.

ის იმაშიც დარწმუნებულია, რომ შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, დღეს უფრო ადვილად დაითანხმებს მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობას მხარი დაუჭირონ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას.

ბიძინა ივანიშვილმა თავის ინტერვიუებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას არანაირი ზეწოლა არ მოუხდენია იმ მაჟორიტარებზე, რომლებმაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლას მხარი არ დაუჭირეს. მათ ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებების მიხედვით მიიღეს და არა ვინმეს კარნახით და დირექტივით.

ეს რომ სიმართლეს შეესაბამება, ამას თუნდაც ის ფაქტი ამყარებს, რომ ამ ხნის განმავლობაში არ გამოჩენილა თუნდაც ერთი ადამიანი, რომელიც იტყოდა, რომ მას პროპორციული სისტემისთვის უარის თქმა ივანიშვილმა ან ვინმე სხვამ დააძალა.

არადა, ასეთი ამბები არ იმალება, გამორიცხულია, რომ დაიმალოს.

ვინც ბიძინა ივანიშვილს და მის მიერ გავლილ გზას ასე თუ ისე იცნობს, ის დაგვეთანხმება, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის უმთავრესი და უპირველესი ყოველთვის იყო ნათქვამი სიტყვის თუ მიცემული პირობის შესრულება.

ეს იყო მისი უმთავრესი დევიზი, რომლისთვისაც მას არასოდეს გადაუხვევია.

ბიძინა ივანიშვილი სიტყვის გამტეხი კაცი რომ ყოფილიყო, ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევდა იმ წარმატებებს, რასაც მან ბიზნესში მიაღწია.

წყარო ზუსტად ვერ ასახელებს იმ თარიღს, როცა ბიძინა ივანიშვილი თავის გადაწყვეტილებას გაასაჯაროებს, თუმცა მისი ვარაუდით, ეს ძალიან მალე უნდა მოხდეს.

●

საზოგადოებისთვის უცნობია, როგორ და რანაირად შეიქმნა ის ლეგენდა, თითქოს პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარება წამგებიანი იყოს ქართული ოცნებისთვის, სამაგიეროდ უაღრესად ხელსაყრელი იყოს ნაცმოძრაობისთვის და მისი სატელიტი პარტიებისთვის.

საუბრობენ შიდა სოციოლოგიურ გამოკვლევებზე, რომლის მიხედვითაც თურმე „ქართული ოცნება“ პროპორციული სისტემით იმდენი მანდატის აღებას ვერ მოახერხებს, რომ დამოუკიდებლად შესძლოს მთავრობის დაკომპლექტება და იძულებული გახდება დახმარებისთვის მეორე ადგილზე გასულ „ნაცმოძრაობას“, ან „ევროპულ საქართველოს“ მიმართოს.

შეიძლება მართლა არსებობს ეს გამოკვლევები, თუმცა, საკითხავია, რამდენად სანდო და კვალიფიციურია იგი?

გავიხსენოთ ერთი ფაქტი: როცა ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა ინიციატივით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარებულიყო პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერით, მიხეილ სააკაშვილმა ასეთი მკვახე რეპლიკა ისროლა: ვინც ამას მხარს დაუჭერს, ის ექნება სულელი.

მან, როგორც ჩანს, ის სერიოზული საფრთხეები დაინახა პროპორციულ სისტემაზე გადასვლისას, რაც „ნაცმოძრაობის“ წარმატების შანსებს საგრძნობლად ამცირებდა.

აქ არ დავივიწყებთ იმის გაშიფრვას, კონკრეტულად რა საფრთხეებია ეს, თუმცა იმას კი აღვნიშნავთ, რომ სააკაშვილმა აბსოლუტურად სწორად და ზუსტად დაინახა პრობლემა, რაც შეიძლება მის გუნდს არჩევნების ნულოვანი ბარიერით ჩატარების შემთხვევაში წარმოეშვას.

ჩვენ ისიც გვავიწყდება რატომღაც, რომ ოპოზიცია (ანუ ნაცმოძრაობა) მხოლოდ პროპორციულ არჩევნებს კი არა სხვა რაღაცებსაც ითხოვდა — ივანიშვილის წასვლას პოლიტიკიდან, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების გადადგომას, დროებითი მთავრობის შექმნას, რომელიც ცესკო-ს ახალ შემადგენლობას დააკომპლექტებდა, დროებითი მთავრობა დანიშნავდა რიგგარეშე არჩევნებს და ა.შ.

ასე რომ, პროპორციული არჩევნები მხოლოდ ერთი (და არა ერთადერთი) კომპონენტი იყო ოპოზიციის მიერ ულტიმატუმის სახით წამოყენებულ მოთხოვნათა სიაში.

როგორც ვთქვით, სააკაშვილმა ივანიშვილის მიერ შემოთავაზებული ინიციატივისთვის მხარდაჭერას სისულელე უწოდა, თუმცა არც მას და არც მის გუნდს რატომღაც არ გაუპროტესტებია, რომ 14 ნოემბერს პარლამენტს „სისულელისთვის“ უნდა ეყარა კენჭი.



„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ოპოზიციამ მხოლოდ პროექტის ჩავარდნის შემდეგ, ატეხა განგაში — დაიქცა ქვეყანა, კატასტროფა მოხდა — არჩევნები წაგვართვესო.

რა წაართვეს, როგორ წაართვეს, რანაირად წაართეს, ამას არ აზუსტებდნენ.

ამის შემდეგ ხდება ფრიად საინტერესო ამბავი — ნათელაშვილის „პოლიტიკურ თავშესაფარში“ შეკრებილი 22 თუ 26 „სულელი“, რომელიც ცოტახნის წინათ პროპორციულ სისტემაზე აღვარღვარებდა ცრემლებს, უცებ საერთოდ არ ახსენებს პროპორციულ სისტემას და ერთ ხმაში იწყებს საუბარს ე.წ. გერმანულ მოდელზე, რომელიც სულაც არ არის პროპორციული საარჩევნო სისტემა და ამასთან ერთად არც საქართველოს კონსტიტუციასთან მოდის შესაბამისობაში.

— არა უშავს, კონსტიტუცია შევცვალოთ, თვითონ მოდელშიც რაღაც-რაღაცები გადავაკეთოთ და ისე მივახრახნოთ ჩვენს საარჩევნო კანონებსო — არ ცხრება



22 თუ 26 ჭკუის კოლოფი.

განსაკუთრებით ცნობილი პოლიტაფერისტი დავით უსუფაშვილი აქტიურობს, რომელიც ვიღაც-ვიღაცებს ჭკვიან პოლიტიკოსად მიაჩნიათ, თუმცა ვერავინ დაადგინა, კონკრეტულად რაში გამოიხატება მისი სიჭკვიანე.

ასეა თუ ისეა, ოპოზიცია მხოლოდ და მხოლოდ გერმანულ მოდელზე ლაპარაკობს და კრინტს არ ძრავს ქართული წარმომავლობის პროპორციულ სისტემაზე.

ოპოზიციას არც დიპლომატიური კორპუსის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე უხსენებია პროპორციული სისტემა, ოდირშიც, ვენეციის კომისიაშიც გერმანული მოდელის გაქართულებული ვარიანტის გაგზავნას აპირებენ.

ხომ საინტერესოა, რაშია საქმეა და რატომ ამოუვარდა ოპოზიციას ასე უცაბედად გონებიდან პროპორციული საარჩევნო სისტემა და რატომ გადაერთო ასე ერთხმად და ერთსულოვნად გერმანულ მოდელზე, რომელიც თვითონაც არ იციან კარგად, რას წარმოადგენს.

როგორც ჩანს, ვიღაცამ საფუძვლიანად აუხსნა ამ ეგრეთ წოდებულ გაერთიანებულ ოპოზიციას, რომ პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერით 2020 წლის არჩევნებზე გასვლა მათთვის უაღრესად არახელსაყრელი და წამგებიანი იქნება.

პირი, ვინც ეს აუხსნა ოპოზიციას, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც, როგორც ვთქვით, პირველი წუთებიდანვე განაცხადა, რომ ვინც „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებულ ამ ინიციატივას ოპოზიციიდან მხარს დაუჭერს, ის იქნება სულელი.

ახსნა-განმარტება არ სჭირდება იმას, რომ თუ ვინმე დაზარალდა 14 ნოემბრის დრამატული კენჭისყრის შედეგად, პირველ რიგში, დაზარალდა „ქართული ოცნება“, სამაგიეროდ, ახალი სუნთქვა გაეხსნა „ნაცმოძრაობას“.

იმას, რაც 14 ნოემბერს მოხდა, თამამად შეიძლება დავარქვათ დიდი შეთქმულება ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, შეთქმულება, რომელსაც არავინ იცის, რა გაგრძელება შეიძლება მოჰყვეს.

14 ნოემბერი რაღაცით ძალიან ჰგავს 19–20 ივნისის ამბებს.

რთული გასაშიფრია ან მაშინ ან ახლა რა ძალებმა იმუშავეს ამ ორი, ერთმანეთის მსგავსი, სცენარის განსახორციელებლად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული პოლიტიკური ბანქოს კარტები ისეა აჭრილი და ერთმანეთში არეული, რომ ძნელი გასარკვევია, ვინ ვის თამაშს თამაშობს, სულაც არ არის შეუძლებელი ამ რთული კომბინაციების ხლართვაში ისეთი „შულერები“ მონაწილეობდნენ, რომლებიც მთელი ცხოვრება „ჟულიკობენ“.

პორტირებულების, „პლენში“ ჩარჩენილების, შეგზავნილების, „დვურუშნიკების“ მეტი რა არის როგორც სახელმწიფო, ასევე თვით „ქართული ოცნების“ სტრუქტურებში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგივე იმ მაჟორიტარი დეპუტატების დიდი ნაწილი, დღეს რომ „ქართულ ოცნებასთან“ არიან გუშინ და გუშინწინ „ნაცმოძრაობასთან“ არ იყვნენ?

ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ ამ მაჟორიტარებმა ყველანაირი კავშირი გაწყვიტეს იმ ნაცმოძრაობასთან, რომელმაც ისინი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა, დააფრთიანა, მოაძლიერა, დიდი ფული აშოვნინა?

სამწუხაროდ, ქართულ ოცნებას დღემდე უჭირს იმის დაჯერება, რომ როგორც არ არსებობს ყოფილი „კაგებეშნიკი“, ასევე არ არსებობს, ყოფილი „ნაციონალი“.

●

გერმანული მოდელი ჩავარდა, თუმცა ოპოზიციას მეორე, სათადარიგო ვარიანტიც აქვს — ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდეს, გადადგეს „ქართული





ოცნების“ ხელისუფლება, შეიქმნას დროებითი მთავრობა, დროებითმა მთავრობამ დააკომპლექტოს ცესკო-ს ახალი შემადგენლობა, დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ოპოზიცია („ნაცები“, „ევრონაცები“) სახელმწიფო გადატრიალების კლასიკურ ვარიანტს გვთავაზობს, ოღონდ თვითონ არა აქვთ რა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ძალა და შესაძლებლობა, ხელისუფლებას წინადადებას აძლევენ, „ქართულმა ოცნებამ“ თვითონ მოუწყოს საკუთარ თავს სახელმწიფო გადატრიალება — გადადგეს და ძალაუფლება დროებითი მთავრობის სახით ნებაყოფლობით გადააბაროს ოპოზიციას.

აი, ეს სურთ, აი, ამას ითხოვენ ეს ავადმყოფები, ძალაუფლების ფლობის მანიაკალური სენით რომ არიან დაავადებულნი.

მოთმინებამ უღალატოს და შეცდომები დაუშვას.

თუმცა მათი სამიზნე მხოლოდ ხელისუფლება არ არის — ისინი ცდილობენ, წონასწორობიდან გამოიყვანონ ქართველი ხალხი და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება მოახდინონ.

მათ არ აინტერესებთ, რა სისტემით ჩატარდება არჩევნები, ეს მხოლოდ საბაბია — მათი მთავარი ამოცანა „ქართული ოცნების“ დამხობა და ხელისუფლებაში მოსვლაა.

გაიხსენეთ, რა ხდებოდა 14 ნოემბრამდე, ანუ მანამდე, სანამ ყველა, მათ შორის „ნაცმოძრაობაც“, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა.

რა ხდებოდა და ნიკუტა გვარამია თავის ტელესტუდიაში იბარებდა პოლიტიკოსებს და საჯაროდ ადებინებდა ფიცს, რომ „ქართულ ოცნებას“ კოალიციურ მთავრობას არ შეუქმნიდა.

ის ინფორმაცია, რაც ჩვენმა წყარომ მოგვაწოდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ ბიძინა ივანიშვილს ახასიათებს მოულოდნელი, არაორდინარული სვლების გაკეთება, არ არის გამორიცხული, რომ ბატონმა ბიძინამ მართლაც გადადგას ეს ნაბიჯი და უკვე ყმუილზე გადასული სააკაშვილი და მისი „შანტრაპა“ პირში ჩალაგამოვლებული დატოვოს.

**ვფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ეს იქნება გენიალური სვლა, რომელიც არა მარტო ქვეყნის შიგნით დაალაგებს ყველაფერს თავის ადგილზე, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალშიც მის რეიტინგს ერთი-ორად აამაღლებს.**

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია.

იმ ჭირმა, რომელიც 20 ივნისიდან ტრიალებს საქართველოში, ერთი დიდი საქმე გააკეთა —

**ცხადზე ცხადია, რომ აბსოლუტურად გაკოტრებული, ენერგიისგან დაცლილი „ნაცმოძრაობა“, იმპოტენტი, ჩუკენობისკენ მიდრეკილი ძალაა, რომელსაც „მთავარის“ ეკრანიდან მხოლოდ ნიკუტა გვარამიასგან მიწოდებული პოლიტიკური „ვიაგრით“ უდგას სული.**

ეს არის ნამდვილი ქვეტექსტი იმ იწილო-ბიწილოსი, საარჩევნო სისტემის გარშემო დისკუსიის და დისპუტის სახელით რომ არის მონათლული და სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა 20 ივნისს ნაცებისა და ევრონაცების მიერ დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელება.

„ნაციონალები“ ცდილობენ კონფრონტაცია გააღრმავონ და ტემპერატურა რაც შეიძლება მაღლა ასწიონ, რომ ხელისუფლებას

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ „ნაცმოძრაობას“ ნაკლებად აინტერესებს, რა სისტემით ჩატარდება არჩევნები, მათ ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნა სურთ და ამის გაკეთებას, აპირებენ მაშინაც კი, თუ არჩევნები პროპორციული სისტემით გაიმართება, მაგრამ ისინი ვერ გაიმარჯვებენ.

●

დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რამდენად შეეფერება სიმართლეს

„ნაცმოძრაობა“ თავის განშტოებებიანად და ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია სრულად არის ლუსტრირებული და ნიღაბჩამოხსნილი.

ცხადზე ცხადია, რომ აბსოლუტურად გაკოტრებული, ენერგიისგან დაცლილი „ნაცმოძრაობა“, იმპოტენტი, ჩუკენობისკენ მიდრეკილი ძალაა, რომელსაც „მთავარის“ ეკრანიდან მხოლოდ ნიკუტა გვარამიასგან მიწოდებული პოლიტიკური „ვიაგრით“ უდგას სული.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# არ არსებობს ეტაპებად დაყოფილი ისტორია, ეს არის ერთი მთლიანობა, რასაც ჰქვია ის, რისთვისაც ვცხოვრობთ – მარადიული საქართველო

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:*

**— ბატონო შოთა, რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედს“ ინტერვიუ მისცა. რა იყო თქვენთვის საყურადღებო?**

— ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მისი გუნდი უნაკლოა, რამაც ძალიან დამაფიქრა. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა სწორედ ეს გუნდია, რომელსაც რატომღაც, აღმატებულად მოიხსენიებს. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება, მისი გუნდის მიმართ, არაერთგვაროვანია, ზოგი მათგანის მიმართ მოსახლეობას ზიზღიც კი აქვს. ამიტომ, არ მგონია ამ გუნდზე დაყრდნობით ივანიშვილმა დასახული ამოცანის გადაწყვეტა შეძლოს. ზოგადად, ტერმინი — გუნდი ჩემთვის ძალიან მიუღებელია — ეს, ერთგვარი, მაფიოზური მიდგომაა, ინდივიდუალური აზრის უკანა პლანზე გადაწევას, არ მივესალმები. პირველ ნაწილში კი, აბსოლუტურად, ვეთანხმები, განსაკუთრებით, მისასალმებელია მისი დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ. ჩემთვის, მთავარი ქართული კულტურა, ეროვნებაა,



მაგრამ მისი გუნდი ამ ყველაფერს ეწინააღმდეგება. არ მესმის, როგორ შეიძლება ეროვნული სახელმწიფო ამ გუნდზე დაყრდნობით შეიქმნას. აი, ეს არის პრობლემა.

ქართველობის უმეტესი ნაწილი სამშობლოს ისე მოიხსენიებს, თითქოს, ნანობს აქ რომ დაიბადა. მიხარია ბატონი ბიძინას დამოკიდებულება სამშობლოსადმი. ამ საკითხში ერთიანობა ვიგრძენი. მან წინ დააყენა თავის სამშობლო და არა სახელმწიფო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მთავარი გზავნილი იყო.

სიტყვა — სამშობლო, ხშირად, უნდა ვიმეოროთ, რაც ორგანულია. მიუხედავად იმისა, რომ იგი დასაცინი გახადეს, ჩვენ მის ხსენებას არ უნდა მოვერიდოთ. ჩვენ არ უნდა გვერიდებოდეს იმის, რომ პატრიოტები ვართ. ახლა, დავა მიდის ტექნოლოგიური ნოვაციების გარშემო. ქართველ კაცს არ ესმის რა არის გერმანული მოდელი. ეს მნიშვნელოვანი არ არის. ქართველი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ის, რაც მის ეროვნულ ღირსებას, სამშობლოს ეხება. სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა. უფალზე მაღლა არაფერი შეიძლება იდგეს. ქართველს სამშობლო უფალთან აქვს გათანაბრებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ახლა, ქართველი კაცი, არაერთხელ, ახსენეთ. დღეს, ერთმანეთს, პრო-რუსულობასა და პრო-დასავლურობაში ეჯიბრებიან. ქართველის ხმა თუ ჩაგესმით სადმე?**

— ახლახან, ოთარ იოსელიანის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც იგი ასეთ რამეს ამბობს: მდუმარე ქართველი ხალხი კულტურის მატარებელია. ეს ფრაზა მსოფლიოს მნიშვნელოვან გამონათქვამებში შევა. აქ, კარგად ჩანს რა არის ქართველობა და ვინ არის მისი მატარებელი.

**— ბატონო შოთა, საზოგადოებაში დაბნეულობაა — ვერ ვყალიბდებით ვიმარჯვებთ თუ ვმარცხდებით, ომს ვიგებთ თუ ვაგებთ, ლევან გოთუას წიგნებს რუსთაველზე ვწვავთ. განვითარების რა პერსპექტივა აქვს ასეთ საზოგადოებას?**

— არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, რატომ დაწვეს გოთუას წიგნი, მაგრამ ცალსახაა, ჩემი წინაპრების ნაშრომის, ხსოვნის ცეცხლზე დაწვა, არასწორია. რაც არ უნდა მოხდეს — კარგიც და ცუდიც, ეს, ჩვენი ისტორიაა და უნდა მოვუფრთხილდეთ, ამის დაწვა არ შეიძლება. ასევე, წინააღმდეგი ვარ ძეგლების ნგრევის, ახალი კერპების შენების და ა.შ. ჩვენი ისტორია — ავი თუ კარგი თავად უნდა ვატაროთ. ერთიც უნდა გვესმოდე: თუ სამყაროს მეტაფიზიკურ ნაწილს ვიზიარებთ და ღმერთის გვჯერა, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ისტორია უწყვეტია და ახლა, წინაპრებთან ისეთივე კავშირში ვართ, როგორც ჩვენს მომავალთან. არ არსებობს ეტაპებად დაყოფილი ისტორია, ეს არის ერთი მთლიანობა, რასაც ჰქვია ის, რისთვისაც ვცხოვრობთ — მარადიული საქართველო, რათა ქართული კულტურა, მუდამ, არსებობდეს. სანამ ქვეყნად ეს მდუმარე ქართველი ხალხი იქნება, ქართული კულტურაც იარსებებს. ეს არის მთავარი იდეა, რისთვისაც ჩემი აზრით, ქართველი უნდა ცხოვრობდეს.

**— ინტერვიუში ახსენეთ, „ქართული ოცნება“ ეროვნული ძალებით არ არის დაკომპლექტებული, არამედ ნეოლიბერალებითო. ტრამპმა, ახლახან, განაცხადა: ჩვენი გუნდი ქრისტიანულ ფასეულობებზე შეტევას შეაჩერებსო.**

— გასაგებია, თუმცა, ჩვენ, ტრამპის იმედად ხომ არ ვიქნებით. იგი ხელისუფლებაში რომ არ მოსულიყო, ჩვენ ქვეყნისთვის არ უნდა მიგვეხედა?! იცი რა, საერთოდ, ლიბერალიზმის მიმართ, მე, არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მაქვს — რასაც ნამდვილი ლიბერალიზმი ჰქვია, მისი მომხრე ვარ. მე, გახლავართ რასობრივი სეგრეგაციის მოწინააღმდეგე. მწამს, რომ ყველა ადამიანი თანაბარია, ღმერთის ქმნილებაა. მაგრამ ის აბსურდული იდეები, რასაც დღეს, ვითომ, თანამედროვე „ლიბერალიზმი“ ეყრდნობა, ეს ჩემთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია. როდესაც სეგრეგაციას, ქსენოფობიას ვებრძვით, ეს სწორი მიდგომაა, მაგრამ როდესაც ეს მარაზმში გადადის და იქმნება ახალი ადამიანი — უსქესო, უწარსულო, უსამშობლო, ეს მიუღებელია. მთავარი სექსუალური ორიენტაცია და სქესი გახდა, რაც წესით, პრობლემა არ არის. პრობლემა იყო ის, რომ ადამიანებს ჩაგრავდნენ, ავტობუსში არ აჯენდნენ და ა.შ. ყველა ადამიანს ნებისმიერი ვნებით, დაავადებით შეპყრობილს ისე უნდა მოვექცეთ როგორც ღვთის ქმნილებას, მათ მიმართ ემპათია უნდა გვქონდეს და ყველანაირად ვცდილობდეთ, მას დავეხმაროთ. საერთოდ, ყველაფრის მიმართ ადამიანური დამოკიდებულება უნდა არსებობდეს — სიველურის, ფაშიზმის წინააღმდეგი უნდა ვიყოთ, რაც, რა თქმა უნდა, ბოლომდე მიღწეული არ არის. ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ზღვარს არ უნდა გადავიდეთ. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება ისეთ ზღვრამდე მივიდა, გინება, ადამიანის შეურაცხყოფა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანები რომლებიც ამ პროცესში ჩართულნი, მეტიც, ამით აღტკინებულნი, ზომბირებულნი არიან, კოცონზე დავწვათ. მაგრამ უნდა მოვუწოდოთ, რომ ეს არ არის ნორმალური საქციელი, რაც არ ეკადრება ოჯახში აღზრდილ ქრისტიანს, მორწმუნეს, ზოგადად, ადამიანს. ერთმანეთს ქრისტიანულად, ადამიანურად მოვექცეთ. ანტიქრისტიანობა, ანტიადამიანურობა რელიგიად არ უნდა იქცეს. სამწუხაროდ, ეს, უკვე, რელიგიად გადაიქცა. ვნახე კადრები, რა საზიზღრობა მოაწყვეს კალიფორნიაში ტრამპის მოწინააღმდეგეებმა, როცა იგი პრეზიდენტად აირჩიეს. აი, ეს არის პრობლმა.

**— ბატონო შოთა, საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნამ, ქვეყანაში ქაოსი შექმნა. თქვენ, რა მოდელს ანიჭებთ უპირატესობას?**

— გერმანული მოდელი, რასაც ოპოზიცია ითხოვს, როგორც გავიგე, რომელიღაც, სერიოზული მათემატიკოსის შედგენილია და მასში გარკვევა საკმაოდ რთულია. ორიოდ დღის წინ, ვუსმინე: დავით უსუფაშვილი ამ მოდელის არსის ახსნას ცდილობდა, თუმცა, ვერ შეძლო. როცა საზოგადოებას რაღაცას სთავაზობ და თავად არ შეგიძლია ახსნა, რაში მდგომარეობს ამ შეთავაზების არსი, ეს ელემენტარული უკულტურობაა. მერე, სანიკიძე „დაეხმარა“: ზვიად გამსახურდიას დროს, ჩვენ, 260 კაცს ვითხოვდით, რაც არავის ესმოდა, მაგრამ მაინც ვსკანდირებდითო. როგორ შეიძლება მოვითხოვო რაღაც, რაც არ მესმის? ჩემთვის, სრულიად ორგანულია მაჟორიტარული სისტემა იმიტომ, რომ მე, მინდა ავირჩიო პიროვნება, რომელსაც ვიცნობ, მისი ავ-კარგიანობა ვიცი. თუმცა, ამ მაჟორიტარულ სისტემას ისე წარმოადგენენ, როგორც დიდ უბედურებას. თითქოს, ეს რაღაც ტირანიაა. მე, ასე არ ვფიქრობ. თუკი შეიძლება კრიმინალმა დანა-ჩანგლით ადამიანი მოკლას, ეს როდი ნიშნავს, რომ დანა-ჩანგლით ჭამა ავკრძალოთ. ჩვენ ბევრი უნდა ვისწავლოთ. ჩვენი ერი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოს ნაწილი იყო — რუსეთის, სპარსეთის, თურქეთის, მაგრამ კულტურა გადავარჩინეთ. აქედან გამომდინარე, უნდა შევეცადოთ, ჩვენი კულტურა დავიცვათ. ყოველთვის, ადამიანები რომლებიც სახელმწიფო ინტერესებზე ლაპარაკობენ, უარყოფითი პერსონაჟები არიან, ხოლო ისინი ვინც სიყვარულზე, მეგობრობაზე ლაპარაკობენ — დადებითები ისე, როგორც სამი მუშკეტერი. სამი მუშკეტერი საუბრობდა მეგობრობაზე, ძმობაზე, კარდინალი რიშელიე — სახელმწიფოზე.

რაც შეეხება პარტიებს, კლასიკური ვერსიით, სწორედ მაჟორიტარული სისტემიდან ჩამოყალიბდა. ტრადიციულ ქვეყნებში, ძირითადად, ყველგან მაჟორიტარული სისტემაა. ამბობენ: მაჟორიტარები, ვიღაცას, მოისყიდიანო. ასეთი შესაძლებლობა ყოველთვის იქნება. პროპორციულ არჩევნებში კორუფცია არ არის?! — ცნობად სახეს, სიის პირველ ნომერს უკან ჩაბმული ჰყავს ხალხი, რომელიც სიაში მოხვედრისთვის ფულს იხდის. ანუ, მთლიანად სისტემაა ზნეობისგან დაცლილი და ეს არის პრობლემა და არა იმის გარჩევა რომელი სისტემა სჯობს.

**— რა მიზანი ამოძრავებს ოპოზიციას, რომელიც პროპორციულ არჩევნებს დაჟინებით მოითხოვს?**

— ამ პარტიების თითოეულმა წევრმა, მაჟორიტარულ არჩევნებში, ცალ-ცალკე რომ დააყენოს თავისი კანდიდატურა, ეჭვი მეპარება, ვინმემ მოიგოს. აქედან





გვ. →

# ზუგდიდი ევროპული ყაიდის ქალაქი უნდა გახდეს!

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ქალაქ ზუგდიდის მერი გეგა შენგელია*

**— დიდი ხანი არ არის, რაც ქალაქის მერი ხართ. ამ პოზიციაზე მოსვლისას რა იყო ის ძირითადი პრობლემა, რითაც დაიწყეთ მუშაობა და დაძლიეთ თუ არა ეს დაბრკოლებები.**

— სანამ მერი გავხდებოდი, მანამდე მერის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი და ვიცოდი, რა პრობლემები ჰქონდა ქალაქს და ცხადი იყო, რა გამოწვევების წინაშეც აღმოვჩნდებოდი.

**— მოსახლეობა უკვე წლებია შეწუხებულია მოუწესრიგებელი გზებით ქალაქში.**

— დიახ. მოსახლეობა უკმაყოფილოა ქალაქში გადაადგილებისას შექმნილი დისკომფორტით, მაგრამ, მოგეხსენებათ, ეს არ იყო ჩვენი ახირება ან უყურადღებობა. ჩვენ მუდმივი კავშირები გვქონდა პროექტის შემსრულებლებთან, დამკვეთ წყალმომარაგების კომპანიასთან, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმა და თანმიმდევრულად ვახორციელებდით ამ გეგმის შესრულებას.

გასაგებია მოსახლეობის პრეტენზიები, მაგრამ ამ მოცულობის მუნიციპალიტეტში წარმოუდგენელი იყო სხვანაირად ასეთი ტიპის პროექტის ოპერატიულად განხორციელება.

ამჟამად სამუშაოები ხორციელდება ცენტრალურ ქუჩებზე, მოსახლეობას შემოვლითი გზებით უწევს გადაადგილება, საცობებიცაა ქალაქში, თუმცა ახალ წლამდე ყველაფერი მოგვარდება.

მუნიციპალიტეტში პრობლემატურ საკითხად იდგა თხილის მოსავლიდან მიუღებელი შემოსავალი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად კოორდინირებულად და ერთობლივად დავიწყეთ ამ საკითხების მოგვარება. მაისიდან გავააქტიურეთ რესურსები და გადავარჩინეთ თხილის კულტურა, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სასტიკი მავნებლის — აზიური ფაროსანას მიერ იყო განადგურებული.

წელს მოსავლის რაოდენობა გაიზარდა.

**— თხილზე მოგვიანებით ვისაუბროთ კონკრეტულად, ოღონდ ჯერ, თქვენი ნებართვით, ინფრასტრუქტურის პრობლემებზე ვილაპარაკოთ. რამდენად გამძლე და ხარისხიანი იქნება ახალდაგებული გზები და რამდენ წელიწადში შეიძლება დასჭირდეს რეაბილიტაცია?**

— ჩვენ გამოვედით ინიციატივით, რომ იქ, სადაც დაზიანებები იქნებოდა, ასფალტის სრული გადაგება მომხდარიყო. ეს ზედმეტ ხარჯებს მოითხოვდა, ამიტომ ზოგიერთ ქუჩაზე ჩვენ თვითონ დავაგეთ ასფალტი და შევამცირეთ ის გადახარჯვები, რაც შეიძლებოდა კომპანიას ჰქონოდა.

ცენტრალურ გზებზე ტრანშეების სრული რეაბილიტაცია-აღდგენას, ჯერჯერობით, ვერ ვახერხებთ, მაგრამ ვამზადებთ ობიექტებს ისე, რომ შემდგომში ტრანშეების სრული კაპიტალიზაცია არ იყოს ძნელი საქმე.

**— ქალაქის სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება, რამდენადაც ვიცი, ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა ქალაქისთვის.**

— გეთანხმებით. ქალაქში სანიაღვრე სისტემების მოწესრიგებისთვის, დაახლოებით, 300 000 ლარამდე დაიხარჯა, თუმცა სრულად, ჯერჯერობით, ეს საკითხი არ მოგვარებულა და მუშაობა გრძელდება.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემაზე. ეს არის მრავალბინიანი სახლების სახურავების გამოცვლის საკითხი. ბინების უმეტესობაში ძველი გადახურვის გამო უამინდობაში წვიმის წყალი ჩადიოდა. 6 მრავალბინიანი სახლის გადახურვაზე ტენდერი გამოცხადებულია და როგორც კი ეს ტენდერი შედგება, დაიწყება გადახურვის სამუშაოები.

**— თქვენი მუნიციპალიტეტისთვის, ყველაზე პრობლემური მაინც დევნილების განსახლების პრობლემა უნდა იყოს.**

— ჩვენ საზღვრისპირა მუნიციპალიტეტი ვართ და თბილისის შემდეგ დევნილების ყველაზე მეტი რაოდენობა ზუგდიდშია.

რამდენიმე პროგრამა მუშაობს ინდივიდუალური სახლების გადაცემის, იპოთეკური სესხების დაფარვის და ა.შ. ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით.

რაც შეეხება განსახლების საკითხებს, 2020 წლის ივნისში 720 ბინა განაწილდება დევნილებზე. აქედან, დაახლოებით, 200 ბინა კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს გადაეცემათ, რადგან დღემდე მძიმე პირობებში ცხოვრობენ და სასწრაფოდ ესაჭიროებათ დახმარება.

2021 წლის შუა პერიოდამდე კომპაქტური ჩასახლებების პრობლემა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სრულად მოგვარდება.

**— ბატონო გეგა, თქვენი მუნიციპალიტეტით მოსახლეობა, ძირითადად, რა პრეტენზიებით მოგმართავთ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ, ვვარაუდობ, საქმიანობის პრიორიტეტებს ამ ნიშნითაც დაალაგებდით.**

— ჩვენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოციალურად დაუცველია. აქვთ ყოფითი პრობლემები — ზოგს პურის ფული არ აქვს, ზოგს — წამლის, ზოგს შეშისთვის ზამთარში, ზოგს — ოპერაციის დაფინანსება უნდა და ა.შ. ვცდილობთ, მაქსიმალურად მოვუგვაროთ ჩვენს მოსახლეობას პრობლემები.

**— კარგია რომ ეხმარებათ, მაგრამ ხომ არ გაქვთ გეგმა სამუშაო ადგილების შექმნისთვის, საწარმოების გახსნისთვის. ერთჯერად დახმარებებს, დამეთანხმებით, ეს ჯობს.**

— ჩვენს მუნიციპალიტეტში მთავარი ინდუსტრია არის თხილის წარმოება და ექსპორტი.

ნელ-ნელა განვითარდა და ფეხს იდგამს მოცვის კულტურის მოშენება, არის ციტრუსიც, მაგრამ ამ ეტაპზე თხილი იმდენად მოთხოვნადი და შემოსავლიანია, რომ მაინც, ასე ვთქვათ, თხილი ლიდერობს.

რაც შეეხება მოცვს, ეს ახალი მიმართულებაა ჩვენს მუნიციპალიტეტში, თუმცა 500 ჰა უკვე განაშენიანებულია და კიდევ ვაგრძელებთ ამ კულტურის გავრცელებას.

მაგრამ რატომ მოცვი?

იმიტომ რომ, ქართული მოცვი განსაკუთრებით არომატულია და მოსავალს იძლევა უფრო ადრე, ვიდრე პოლონური და უკრაინული მოცვი. ევროპის ბაზრების ძირითადი მიმწოდებლები სწორედ უკრაინა და პოლონეთია, მაგრამ დიდი შანსი გვაქვს, ქართულმა მოცვმა სერიოზული კონკურენცია გაუწიოს სხვებს. დიდი მოთხოვნაა ახლა ევროპაში მოცვზე და თუკი გავაფართოებთ ამ კულტურას, ეს დიდად ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

1 კგ. ლურჯი ქართული მოცვის ფასი 3-დან 4 ლარამდე მერყეობს. მის გამრავლებას მაღალი მჟავიანობის ნიადაგი სჭირდება და იგი იდეალურად ხარობს ჩაის პლანტაციების ნამყოფ ნიადაგებზე.

რაც შეეხება თხილს, ბოლო სამი წლის მოუსავლიანობის შემდეგ წლეულს საუკეთესო მოსავალი მივიღეთ, რაც განპირობებულია ფაროსანას წინააღმდეგ წარმოებული საუშაოების ეფექტურობით. სულ 40 მლნ. ლარი დაიხარჯა ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა შედეგები გვაქვს. წელს ჩვენი თხილი ხარისხითაც უკეთესია.

კმაყოფილებით შემიძლია ვთქვა, რომ ფაროსანასთან და სოკოვან დაავადებებთან ბრძოლის პრობლემა ჩვენმა მუნიციპალიტეტმა წლეულს წელში გადავტეხეთ.

მომავალ წელს, დარწმუნებული ვარ, გაცილებით უკეთესი შედეგები გვექნება და მოსავალსაც უფრო ჭარბს მივიღებთ.

თქვენ საწარმოები ახსენეთ წეღან.

აუცილებლად გავხსნით ახალ საწარმოებს მოთხოვნილების შესაბამისად, მაგრამ თხილის მოსავალი არ იყო გასულ წლებში და აღარც ახალი საწარმოების გახსნა გახდა საჭირო.

***— როგორია რეალიზაცია. ქართული თხილი მხოლოდ თურქეთის ბაზრებზე ხვდება?***

— რატომ მხოლოდ თურქეთის? ჩვენი თხილის ძირითადი მომხმარებლები არიან ევროპის ქვეყნები, ჩინეთი, აფრიკის ქვეყნები, შუა აზია, აზიის რამდენიმე სახელმწიფო, რუსეთი.

მსოფლიოში თხილის მიმწოდებელ მეხუთე ქვეყნად ითვლება საქართველო.

უნდა ვიმუშაოთ ამ მიმართულებით, რადგან არის პერსპექტივა ამ მოცულობის გაზრდის. ჩვენი პოტენციალიდან გამომდინარე, იტალიასაც შეგვიძლია გავუსწროთ თხილის ექსპორტით.

6 გვ. →





**გზების რეაბილიტაცია - 7 357 527 ლარი**

1. ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია. პროექტის მთლიანმა ღირებულებამ 500 000 ლარი შეადგინა. <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

2. ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია. პროექტის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 400 000 ლარი; <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

3. ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია. (მესამე ეტაპი) პროექტის მთლიანი ღირებულება 285 000 ლარია. <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

4. რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში ზ. თოდუას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია. პროექტის მთლიანი ღირებულება 500 000 ლარი; <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

5. გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში (გრიგოლიშის ცენტრიდან ყულიშკარის საავტომობილო გზამდე) გზის რეაბილიტაცია. პროექტის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 250 000 ლარი; <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

6. ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია. პროექტის მთლიანი ღირებულება 300 000 ლარი; <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

7. ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღმარანის გზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 1000 000 ლარი, <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

8. აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი). პროექტის ღირებულება 900 000 ლარი, <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენი შამადელას ადმინისტრაციული ერთეულების, დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია (ნარაზენის ნაწილი). ღირებულება 500 000 ლარი, <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

10. ნარაზენის გზის რეაბილიტაცია (საბეჭვაიოს უბანი 2200მ) საკოდუს უბანი. ღირებულება 500 000 ლარი, <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

11. ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბრის ცენტრიდან, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის, ახალკახათის გავლით (ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე), საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ღირებულება 600000 ლარი, <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

12. ურთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ურთისა და აბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ღირებულება 400 000 ლარი; <u>სამუშაოები დასრულებულია;</u>

13. ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ნარაზენის ცენტრა-

# ზუგდიდი ევროპული ყაიდის ქალაქი უნდა გახდეს!

← 6 გვ.

**— თქვენი მთავარი გამოწვევა ახლა ეს არის?**

— ინფრასტრუქტურა. ამ კუთხით ყველა შესაძლო პრობლემის მოგვარება, რა თქმა უნდა, თხილის შემოსავლის გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, რაც შემიძლია ვთქვა, პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ანაკლიის პორტის მშენებლობის საკითხებთან.

ანაკლიის პორტის აშენება სახელმწიფოს ღირსების საქმეა და დარწმუნებული ვარ, ის განხორციელდება.

ამ პროექტის ფარგლებში ძალიან ბევრი ჩვენი ქვეყნის მოქალაქე, მათ შორის, ზუგდიდელებიც დასაქმდებიან და გაუმჯობესდება დასაქმების პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები.

**— ძალიან გაიწელა ამ პროექტის განხორციელება, რამაც ანაკლიის მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა.**

— იმედია, დასრულდება ეს გაუგებრობა, რადგან იანვრამდე არის ბოლო ვადა — სახელმწიფოს წარუდგინონ ინვესტორი, რომელიც პირდაპირ განახორციელებს კაპიტალდაბანდებას და ააშენებს პორტს ანაკლიაში.



თუ ვერ წარმოადგინეს ინვესტორი, სახელმწიფო ჩაერევა ამ საქმეში. პორტი აუცილებლად აშენდება. ანაკლიის პორტი იქნება საქართველოს მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი ადგილი. აქ, მხოლოდ მშენებლობის პროცესში, დაახლოებით, 6000 ადამიანი იქნება საჭირო.

პორტის აშენების მერე, მუდმივი ოპერირებისთვის, 3000 ადამიანია აუცილებელი.

თუნდაც აქედან გამომდინარე, მხოლოდ ზუგდიდისთვის კი არა, მთელი ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე გაკეთდება.

ტვირთბრუნვა იქნება უზარმაზარი, გაკეთდება გზები, რკინიგზა, სხვადასხვა კომუნიკაციები სოფლებში, გამოცოცხლდება რეგიონი. ეს იქნება ერთგვარი სულის ჩაბერვა ზუგდიდისთვის, ზოგადად, რეგიონისთვის და საქართველოსთვის.

ტურიზმი ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, თუმცა, რადგან აფხაზეთის მიმართულებით მიმოსვლა ჩაკეტილია, მხოლოდ სვანეთის მიმართულებით გვაქვს მარშრუტები.

ანაკლია-განმუხურის მიმართულებით უკვე მოვაწყვეთ საზღვაო ინფრასტრუქტურა, აშენდა ახალი სასტუმროები.

წლეულს, დაახლოებით, 6 მლნ. ლარი დავხარჯეთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მოწესრიგებულიყო იქაურობა ტურისტებისთვის და დამსვენებლებისთვის. გაკეთდა სტადიონები, ატრაქციონები, სავარჯიშო მოედნები, მოხდა ხიდის რეაბილიტაცია, 2 მლნ ფარგლებში ვაშენებთ კაფე-რესტორანს, არის თანამედროვე ტიპის აქვაპარკი, კიდევ მიმდინარეობს სასტუმროების მშენებლობა, კერძოდ, „ბლექსი რივიერა“ აშენებს 4-ვარსკვლავიან სასტუმროს. მშენებლობა 2020 წლის ბოლომდე დასრულდება.

პორტის არსებობის შემთხვევაში, ტურიზმი უფრო მომძლავრდება, ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესიც მოძლიერდება მოსახლეობაში. ჩვენ დიდი იმედით ვართ. ზუგდიდი სულ უფრო და უფრო ემსგავსება ევროპული ყაიდის ქალაქს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

ლური გზიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ღირებულება 285 000 ლარი, სამუშაოები დასრულებულია;

14. ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ახალსოფლის ცენტრიდან ოფაჩხაფუს ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია. ღირებულება 385 000 ლარი. სამუშაოები დასრულებულია;

15. რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში საავადმყოფომდე მისასვლელი (ესართიას ქუჩა) გზის რეაბილიტაცია. ღირებულება 552 527 ლარი, სამუშაოების დასრულებულია;

### წყალმომარაგება

16. ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების მოწყობა. ღირებულება 100 000 ლარი; სამუშაოები დასრულებულია;

### მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა - 1 307 307 ლარი

**17.** ქ. ზუგდიდში, სოხუმის ქ.№ 73-ში, თამარ მეფის ქ.№ 35-სა და შალვა ქირიას ქ.№ 3-ში (სოციალური საცხოვრისი) შესახვევში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა. ღირებულება 272 477 ლარი. სამუშაოები დასრულებულია;

18. ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა № 27, № 28, № 29, № 30, № 32 და № 33-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა. ღირებულება 902 171 ლარი. სამუშაოები მიმდინარეობს. დასრულების თარიღი მიმდინარე წლის ნოემბრის თვის დასაწყისში;

19. ქ. ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქ. N3, გამსახურდიას ქ. N213, გამსახურდიას ქ. N215-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა. ღირებულება 132 659 ლარი, სამუშაოები დასრულებულია;

20. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს 2019 წელს ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფი ხელშემწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 1 100 648 ლარი.

# არ არსებობს ეტაპებად დაყოფილი ისტორია, ეს არის ერთი მთლიანობა, რასაც ჰქვია ის, რისთვისაც ვცხოვრობთ – მარადიული საქართველო

← 4 გვ.

გამომდინარე, ეს პოლიტიკური სპექტრი, აბსოლუტურად, დისკრედიტირებულია. მართებული იქნება თუ პოლიტიკაში ახალი ხალხი მოვა და პოლიტიკა ეკონომიკური მდგენელისგან, მაქსიმალურად, დაიცლება. დღესდღეობით, ძალიან ღირსეული და წესიერი კაცი ვერ მოხვდება იმიტომ, რომ იგი, აუცილებლად, პარტიული უნდა იყოს. იქნებ, არცერთი პარტია არ მომწონს. ეს, პრინციპში, სეგრეგაცია, ერთგვარი აპარტეიდია, რაშიც ქართველ ხალხს ამყოფებენ — მათ, არ შეუძლიათ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, არამედ უსუფაშვილებით, სანიკიძეებით და ა.შ. უნდა შემოიფარგლონ.

**— როგორ შეაფასებთ მოვლენებს პარლამენტის შტურმიდან მის პიკეტირებამდე?**

— მათ, გამოხატვის თავისუფლება და უმაღლესი სიკეთე უზრდელობა ჰგონიათ. არავის მივცემ უფლებას შემაგინოს ან ჩემს ცოლს შეაგინოს. ჩვენ, შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ. რამდენიმე უზრდელს ვერ გადავყვებით. მათ თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ. სახელმწიფო, ხელისუფლებას ვგულისხმობ, თუ ისიც ზნეობრივია და ამ იდიოტიზმით შეპყრობილი არ არის, ამ ხალხის დასჯას არ უნდა ერიდებოდეს. ისინი უნდა დაისაჯონ. აბა, როდემდე ვუყუროთ ამ უმსგავსობას?

**— ხოშტარია სტვენს, გაჰკივის: სირცხვილიაო. თქვენთვის, რა არის სირცხვილი?**

— ჩემთვის სირცხვილია ზუსტად ის, რომ ჩვენ ვერ შევძელით მთავარი სიკეთის გამოყენება იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა, კულტურა უფრო მაღალ დონეზე აგვეყვანა. ჩემთვის სირცხვილია ის, რომ საბჭოთა კავშირის დროს მეგონა ჩვენი ეროვნულ-ნაციონალური კულტურა დათრგუნული იყო, არადა, იგი ახლა უფრო დაბლაა, ვიდრე იმ პერიოდში. სირცხვილია ის, რომ ვეღარ იქმნება ისეთი შედევრები, როგორსაც ოთარ ჭილაძე ქმნიდა. ჩემთვის, სირცხვილია ისიც, რომ დღეს მწერლები ჰქვიათ ადამიანებს, რომელთაც წესით არ უნდა ერქვათ, ასევე, მხატვრები ჰქვიათ მათ, ვისაც არ უნდა ერქვათ. ანუ, ეს დეგრადაციაა სირცხვილი, რაც ყველა სფეროში ჩანს. სირცხვილია, რომ ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი ქვეყნისთვის ღირსება და კულტურა შეგვენარჩუნებინა. ეს არის ყველაზე დიდი სირცხვილი.

**— ოპოზიცია გაერთიანდა — გულს იმედი ჩაგესახათ?**

— გაერთიანება დადებითია, როცა მისი ფასი და ის იცი, თუ რის გარშემო ერთიანდები. ჩვენ, თუ იმ სიკეთის გადასარჩენად გავერთიანდებით, რაც არის ქართული ნაცია და კულტურა, ამას მივესალმები. მაგრამ ეს ხალხი დესტრუქციისკენ არის მოწოდებული. მათ უკან, მხოლოდდამხოლოდ, ხელისუფლებაში ყოფნის და საკუთარი ვნებების დაკმაყოფილების სურვილს ვხედავ. საქართველოში, ვერცერთ, პოზიტიურ გაერთიანებას ვერ ვხედავ — ვერც მწერლების, ვერც პოლიტიკოსების. სამწუხაროდ, ეს სოლიდარობის გრძნობა არსად არ არის. სახლის ზღურბლის იქით არაფერი გვაინტერესებს.

**— არჩევნებზე, ყოველ წელს იმედით მივდივართ, თუმცა თქვენც ახსენეთ, რომ ერთიდაიგივე ხალხს ვირჩევთ ხან პოზიციაში, ხან ოპოზიციაში.**

— ესენი „კომინტერნის“ შვილები არიან. ამ ხალხის ძირითადი ნაწილი, მოგვიანებით, მამებმა რომლებიც შავი ვოლგებით დადიოდნენ და შემდგომში ევროპაცენტრისტები გახდნენ, მოდურ სკოლებში მიიყვანეს. ეს ვითომ „ელიტა“ ყოფილი კომუნისტური „ჩაიკებიდან“ ჯიპებზე გადასხდნენ. ეს ხალხი მათი შთამომავლობაა. ესენი იმ „კომინტერნის“ პირდაპირი გამგრძელებლები არიან.

**— ამბობენ, აქციები „შინმოუსვლელის“ შინ დაბრუნებას ემსახურებაო?**

— სააკაშვილი ძალიან მხდალი ადამიანია. ვფიქრობ, ამ მდგომარეობაში მყოფმა უპოვარებმა ხელისუფლებას უფრო მეტი უნდა მოვთხოვოთ. მის მიმართ უფრო მკაცრი ვიყოთ და მივაღწიოთ იმას, რომ ხალხს არჩევანის საშუალება ჰქონდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის ინსტრუმენტი რაც კონსტიტუციაშია — რეფერენდუმის სისტემა მოვითხოვოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ქალბატონი, რომელიც უბრალოებით ბრწყინავს

ახლახან შემთხვევით წავაწყდი ქალბატონი ეკატერინე ხვედელიძის შვიდი თუ რვა წლის წინანდელ ინტერვიუს, რომელიც ერთ სატელევიზიო ეთერში გავიდა და გამახსენდა, ფრენსის კოპოლას გენიალურ ფილმში მარლონ ბრანდო არაჩვეულებრივ რამეს რომ ეუბნება თავის ვაჟს: „უდარდელად ერთი დღეც კი არ მიცხოვრია. ქალი და ბავშვი უნდა იყოს უდარდელი, მამაკაცი კი არაო“.

საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ქალი უდარდელი ვერ იქნება, თუნდაც მილიარდერის ცოლი იყოს. ნორმალურ ადამიანს და წესიერ ქალს, შეუძლებელია, ქვეყნის ბედი არ აწუხებდეს...

ეკატერინე ხვედელიძის სახით კი, მადლობა ღმერთს, გამოჩნდა პოლიტიკური ლიდერის მეუღლის ახალი ტიპი.

სატელევიზიო ინტერვიუს დროს ეკატერინე ხვედელიძეს ეცვა უბრალოდ, სადად, არადა, ჩვენ ვიცნობთ ბევრ ქალბატონს, ქართველი პოლიტიკოსების ან საზოგადოებისთვის სხვა ცნობილი პირების ცოლებს, რომლებიც „საშოპინგოდ“ საზღვარგარეთის უძვირეს მაღაზიებში დადიან, დასასვენებლად და გასარუჯად კი მსოფლიოს ელიტარულ ზღვისპირა კურორტებს სტუმრობენ, რომ ამით მერე „იმარიაჟონ“.

არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ნებისმიერმა პოლიტიკოსმა, სულ მცირეოდენის გამოკლებით, შეხედონ საკუთარ ცოლებს, მინი-კაბებში, დეკოლტეებში გამოწყობილებს, ჯიპებზე ამხედრებულებს და უგზოუკვლოდ მოჯირითეებს.

ეკატერინე ხვედელიძე ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, არ ჩანს პრესის ფურცლებზე და მედიაეთერებში, არ აქტიურობს პოლიტიკურად, არც საზოგადოებრივ ასპარეზზე ჩანს, არც სეფექალთა არმია ახვევია, მაგრამ, როგორც ამბობენ, ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ერევა... თან დიასახლისობს თავისი დიდი ოჯახისთვის, რომელიც აგერ უკვე 10 წელიწადია მუდმივი წნეხის და ათასნაირი საშიშროების წინაშე დგას...

თუმცა, როგორც ძლიერ ადამიანებს სჩვევიათ, ქალბატონი ეკატერინე არ ერიდება დაბრკოლებებს და როგორც ამბობენ, სწორედ მან უბიძგა მეუღლეს, გაერისკა და გამოსულიყო პოლიტიკურ ასპარეზზე.

ბიძინა ივანიშვილი 2011 წელს თავის მიმართვაში ქართული საზოგადოებისადმი, წერს:

„როგორც გითხარით, ჩემმა უახლოესმა ადამიანებმა დამარწმუნეს, რომ ვცდებოდი, თუმცა არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ ჩემი ოჯახიც, სხვა ქართული ოჯახებივით, ორი წლის განმავლობაში ჩურჩულით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის იმედით და თანადგომით შიში ვძლიეთ.

შიშის და ჩურჩულის დრო დამთავრდა — ახლა ხმამაღლა, მთელი ხმით, მთელი საქართველოს და მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკის დროა, რომ მთელ საქართველოს, მთელ მსოფლიოს მივაწვდინოთ ჩვენი სიმართლე.

ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება“ — ეს არის ერთიანი, მთლიანი, ძლიერი, სამართლიანი საქართველო!“

ყველა წარმატებული მამაკაცის უკან საყვარელი ქალი დგასო, ქალი, რომელიც ზურგს უმაგრებს და რომელიც არის საიმედო თავშესაფარი, საყრდენი და ცხოვრების მიმართულების მიმცემი მამაკაცისთვის. ბიძინა ივანიშვილს სამი მილიარდი აქვს დახარჯული ქველმოქმედებაში, რის შესახებაც არ შეიძლება მის უახლოეს ადამიანს, მის მეუღლეს არ სცოდნოდა. სამ მილიარდს კი არა, ზოგიერთი ქალი ქმარს სახლიდან სამ ლარს არ გაატანინებს.

როგორც ამბობენ, ყველა დიდი კულტურული და სოციალური პროექტის უკან სწორედ ქალბატონი ეკატერინე დგას.

„შეცდომა იყო, მე ვიტყოდი, ღალატის ტოლფასი შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს, როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?! — წერს ბიძინა ივანიშვილი თავის პირველ მიმართვაში ქართველი საზოგადოებისადმი.

ეკატერინე ხვედელიძე კი თავის ერთადერთ სატელევიზიო ინტერვიუში ამბობს: „ჩვენ რომ ჟაკლინ კენედისნაირ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, არ ჩავერთვებოდი პოლიტიკაში არც მე, არც ბიძინა, მაგრამ ეს მოდის ვალდებულების გრძნობიდანო“.

იმ ინტერვიუში, ეს თავისი უბრალოებით მბრწყინავი ქალბატონი „ნაცმოძრაობის“ მიერ მისი მეუღლის მოსალოდნელ ლიკვიდაციაზეც გარეგნულად მაქსიმალურად მშვიდად, თავდაჭერილად, ქალური პანიკის გარეშე ლაპარაკობს, არადა იმ ხანებში ადამიანთა მკვლელობები ჩიტზე ნადირობასავით იყო.

რისკი იყო მაშინ ბატონი ბიძინას პოლიტიკაში მოსვლა — რისკი ქვეყნისთვის, რისკი ერთი ოჯახისთვის — ივანიშვილების ოჯახისთვის...

იმ სატელევიზიო გადაცემაში ქალბატონმა ეკატერინემ მაშინ ასეთი საინტერესო რამეც თქვა:





„თუ ღმერთმა არ ქნას და ბიძინამ ვერ გააგრძელა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, მაშინ მე ვიტვირთებ და მე გავაგრძელებ. ემოციურად მართლა ძალიან ძნელია, მაგრამ, მე უბრალოდ, მართლა არ მინდა ამაზე ვიფიქრო.

... ყველაფერი მაინც ვალდებულებიდან მოდის. არ მინდა ხმამაღალი სიტყვები ვთქვა, მაგრამ ბიძინამ რომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა, ე.ი. მან გადაწყვიტა ქვეყანას დაეხმაროს, ჩვენი შვილების მომავალს დაეხმაროს, ამიტომ არაა ლაპარაკი იმაზე, რამდენად შეიზღუდა ჩვენი თავისუფლება და კომფორტი. ამ კუთხით, უნდა ითქვას, რომ მე ერთგვარად განებივრებული ვიყავი. ბიძინას და ჩემი უფროსი ვაჟების სახით იმდენად ძლიერი კაცები მიდგანან გვერდით, რომ შემეძლო, როგორც მინდოდა, ისე მეცხოვრა და რაც მინდოდა, ის მეკეთებინა. საკმაოდ თავისუფალი ცხოვრება მქონდა, მაგრამ შეიცვალა ყველაფერი და მეც მზად ვარ ყველაფრისთვის, მე ზურგში ვუდგავარ ბიძინას და იმედია, რომ ჩემი მხარდაჭერა არ დასჭირდება და ჩემი პიროვნების პოლიტიკაში შემოსვლის საჭიროება არ დადგება, მაგრამ მე ყველაფრისთვის მზად ვარ“.

„...მე არასდროს ვერეოდი მის ბიზნესსაქმიანობაში, მაგრამ საღამოობით, სეირნობისას, ის ყველაფერს მიყვებოდა, ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი. ახლაც ასეა, თუმცა არ ვესწრები მის შეხვედრებს და კონფერენციებს, ყველაფრის საქმის კურსში მაყენებს. ის თვლის საჭიროდ, რომ მე ეს უნდა ვიცოდე და ვაანალიზებ ყველაფერს, რაც ხდება“.

ეკატერინე ხვედელიძემ ქვეყანას უკვე დაამახსოვრა თავი კეთილშობილებით, გაწონასწორებულობით, გონიერებით...

ის ჩვეულებრივი ქართული ოჯახის არაჩვეულებრივი ქალბატონია და საქართველოს უჩინარი პირველი ლედი, ქალი, რომელმაც უბიძგა მეუღლეს ქვეყნის ტვირთი ეტვირთა. იგი თვითონაც დგას ერთგულად მეუღლის გვერდით და იტანს ჩვენი ქვეყნის ბედსა და უბედობას ისე, როგორც ჩვენ, ჩვეულებრივი ქართველი ქალები...

ესაა თავდადება და ქვეყნის სიყვარული, რომელიც ოჯახის, ქმრის, შვილების სიყვარულიდან იწყება და მერე ვრცელდება ქვეყანაზე, ერზე და ხალხზე.

ასეთია ეკატერინე ხვედელიძე დიდი ოჯახის დიასახლისი, დედა და ახლა უკვე პატარა ბერუკას ბებია...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ბიძინა ივანიშვილის მორიგი მასტერკლასი



27 ნოემბერს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, ანუ „ნაციონალურ მოძრაობას“ კიდევ ერთი მასტერკლასი ჩაუტარა. მიუხედავად კარგად ჩატარებული გაკვეთილისა (საიდანაც „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები მაინც ვერაფერს ისწავლიან), მოდით, შეკითხვა მაინც დავსვათ ასე: როგორც ამ წერილის ავტორს, როგორც ინტერვიუს „გამრჩევს“, კონკრეტულად რა მომეწონა და რა არ მომეწონა? მომეწონა ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა სწორად წარმოაჩინა დღევანდელი აქცენტები და ზუსტად დაუსვა დიაგნოზი 30 წლის განმავლობაში გაცვეთილ, ამორტიზებულ და ყელში ამოსულ ე.წ. ოპოზიციას. ძალიან მომეწონა პირუთვნელი შეფასება და ვეთანხმები, რომ როგორი გაჭირვებაც გვაქვს, დავუშვათ, ეკონომიკაში, სოციალურ საკითხებში, იმაზე უარესი ჩავარდნა და სიდუხჭირე გვაქვს პოლიტიკაში, პროფესიონალიზმში, ანალიზის უნარში, პატრიოტიზმის აღქმაში და ასე შემდეგ. ივანიშვილის თქმით, დღეს ე.წ. ოპოზიციას რომ ჰყავდეს თუნდაც ერთი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი, პოლიტიკურად გაკოტრებული (ნეტა როდის არ იყვნენ გაკოტრებულნი?) პირები ცარიელ თავებს კედელს არ უნდა ურტყამდნენ. არა, ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ, თუ უნდათ, სკალპები აიძრონ საკუთარი ხელით, მაგაზე მე არ ვნერვიულობ, მაგრამ როცა კედელს დაუსრულებლად ასკდები, შემდგომში ეს იწვევს აგრესიას და პირიდან დუჟის დენას, ანუ დუჟმორეულობას, რაც (ალბათ დამეთანხმებით) ძალიან მძიმე საყურებელია.

ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში, რასაკვირველია, პირველი თემა იყო არჩევნები და საარჩევნო სისტემები, ანუ პროპორციული თუ შერეული, რაც დღეს გვაქვს? როგორც თვითონ ამბობს, ბოლომდე არწმუნებდა გუნდს, რომ „ქართულ ოცნებას„ ჰქონდა შესაბამისი რესურსი, რომ არჩევნები მოეგო ნებისმიერი სისტემით:

„ვარწმუნებდი გუნდის წევრებს, რომ ჩვენ გვაქვს რესურსი, არ დავარღვიოთ სიტყვა და შეგვიძლია, არჩევნებში 50–60 პროცენტს შორის უმრავლესობა მივიღოთ, მთავრობაც ჩამოვაყალიბოთ-მეთქი. ყველას ჰქონდა კითხვა – კოალიცია ვისთან, ამათთან კოალიცია? ამათთან გინდა კოალიცია? და აბსოლუტურად საფუძვლიანი კითხვაა, ვისთან უნდა გააკეთოთ კოალიცია? მე პირადად ძალიან ვიაქტიურე და არ დავშალეთ გუნდი. უმრავლესობის დაშლა იქნებოდა ტრაგიკული ამ ქვეყნისთვის. რა თქმა უნდა, ცუდი იყო, რაც მოხდა, როგორც მოხდა, მაგრამ აქედან უნდა გავაკეთოთ დასკვნები და გავაგრძელოთ ქვეყნის სტაბილური განვითარება. ჩვენ დავზიანდით, გუნდი დაზიანდა არა მარტო იმიტომ, რომ თავისი გაცხადებული ვერ შეასრულა, არამედ, ჩვენი ბევრი ღირსეული წევრი გავიდა უმრავლესობიდან“.

თუ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს ერთი მხრიდან შევხედავთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი წინადადება უკან წაიღო. გნებავთ, ისიც ვთქვათ, რომ მოატყუა ე.წ. ოპოზიცია, გადააგდო თითოკაციანი ე.წ. პარტიები, რომლებიც ლამობენ პარლამენტში შესვლას მხოლოდ იმიტომ, რომ მიიღონ დაფინანსება. როდესაც დემაგოგები ამტკიცებენ, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოსახლეობა გადააგდოო, ეს არის მტკნარი სიცრუე, ჯერ ერთი, გაგანია ზაფხულში არავინ ითხოვდა პროპორციულ საარჩევნო სისტემას და მეორეც – დღესაც არავის აინტერესებს გაუგებარი მოდელები თუ სისტემები. უკაცრავად, მაგრამ საქართველოს მოსახლეობას რაში სჭირდება, პარლამენტში წამოუსხდნენ მაჭუტაძეები, ქარდავები თუ დავითაიები? სიმართლეს ამბობს ივანიშვილი, თუკი 40 მაჟორიტარი ვერ გაიტანდა თავისას და დატოვებდა უმრავლესობას, რასაკვირველია, დაიშლებოდა იგივე უმრავლესობა და ქვეყანაში დატრიალდებოდა მართლა ტრაგედია – ჩასატარებელი იქნებოდა ვადამდელი არჩევნები პროპორციული სისტემით, თუ „ნაციონალები“ და მათთან გათანაბრებული პირები მოიპოვებდნენ (მაგათ იციან, როგორ იჩალიჩონ) მანდატებს, შესაძლოა, მივსულიყავით კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებამდე და კინო დაიწყებოდა შემდეგ. დღეს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი აცხადებს, რომ კოჰაბიტაცია იყო დიდი სისულელე, ამ დროს მივდივართ იმაზე, რომ „ნაციონალებთან“ ერთად ვქმნით კოალიციურ მთავრობას. ჯერ ერთი, ამ პოლიტიკურ შულერებთან და ტერორისტებთან არანაირ კოალიციაზე ლაპარაკი არ შეიძლება და მეორეც – დავუშვათ, მივეცით ერთი-ორი სამინისტრო, თუნდაც მხოლოდ მოადგილეების დონეზე, ამათი ჯიშიდან და ჯილაგიდან გამომდინარე, ხომ ვიცით, როგორ პროპაგანდას გააჩაღებენ? დაიწყება ტრაბახი, რომ ისინი ნაწილობრივ უკვე დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, რომ მალე მთლიანად გადაიბარებენ ძალაუფლებას, რომ ეს ყველაფერი დღეების საკითხია და ასე შემდეგ.

ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში კიდევ მომეწონა ის, რომ ხაზგასმით თქვა, ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის„ დაბრუნების ალბათობა თეორიულადაც კი არ არსებობსო:

„შეუძლებელია თეორიულადაც კი, 0%-ია ალბათობა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდეს. ბოლო წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ გუნდი ძალიან თავდაჯერებული და სტაბილური გახდა“.

არ ვიცი, რამდენად თავდაჯერებული და სტაბილური იყო „ქართული ოცნება“ ბოლო წლებში, მაგრამ ერთ რამეში ვეთანხმები, ავანტიურისტების შემოტევებისას მართლაც გამოაჩინა თავდაჯერებულობა და სტაბილურობა. მე პირადად ამას მივაწერდი პრემიერ გიორგი გახარიას, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. რანაირად არ სცადეს სააკაშვილის მსტოვრებმა, ბზარი შეეტანათ ძალოვან უწყებებში, რათა შიგნიდან ჩამოეშალათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და რაკი არაფერი გამოუვიდათ, დაიწყეს პოლიციელების დაშინება, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც დავბრუნდებით და პასუხსაც გაგებინებთო. გიგა ბოკერია პირდაპირ ემუქრება პოლიციელებს, ციხეში დაგალპობთო, იგივეს აკეთებს მიხეილ სააკაშვილი. როგორც ჩანს, ამათ ცარიელ თავებში ისევ 2003 წელია.

ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში ასევე მომეწონა, რომ უახლოეს ხანში გაქსუებული არასამთავრობოების გამო აპირებს, ღია წერილით მიმართოს აშშ-ის კონგრესს და პრეზიდენტის ადმინისტრაციას. მისი თქმით, ამერიკის ფულით დაფინანსებული ენჯეოები ამერიკის წინააღმდეგ მოქმედებენ და „ნაციონალურ მოძრაობას„ თავისი ხალხი ჰყავს ჩანერგილი ამ ორგანიზაციების ქართულ წარმომადგენლობებში:

„ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს პატარა გეგმები, რათა დავარწმუნოთ და ვაჩვენოთ ვაშინგტონს, რა ხდება აქ. თუ არ გამოვიდა ამ ხერხით, მე არ გამოვრიცხავ, საჯაროდ, ღია წერილით მივმართო კონგრესს, თუ გნებავთ სენატს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას და საჯაროდ ავუხსნა, როგორ ხდება, რომ ამერიკის ინტერესებს ამერიკული ფულით დაფინანსებული ორგანიზაციები ამერიკის სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებენ. აქ ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები ზარალდება. წლების განმავლობაში გრძელდება ეს. ქვეყნდება რეიტინგები, ამას აქვეყნებს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ძალიან სერიოზული ორგანიზაცია და საზოგადოებაში მას აღარ აქვს ნდობა. ღიმილით ხვდებიან ამ კვლევის შედეგებს და ეს სამწუხარო რეალობაა. პრობლემა ის კი არ არის, რომ ამ რეიტინგების გვეშინია, ამ რეიტინგებს ნდობა აღარ აქვს საზოგადოებაში. ამან სხვა დანიშნულება შეიძლება მიიღოს. შეიძლება ვიღაცას, იგივე პოლიტიკოსებს სურთ, დაარწმუნონ საზოგადოება ნახეთ: ამერიკულ ორგანიზაციებს არ უყვართ „ქართული ოცნება“ და მხარს უჭერენ „ნაციონალურ მოძრაობას“. ყველამ გაიგო, რომ აშშ არ უჭერს მხარს „ნაციონალებს“ და არავინ მისტირის მათ ბელადს. გავიგეთ ისიც, რომ კვლევები ვერ დაგვაზიანებს, მაგრამ ზოგადი განცდაა, რომ ეს ორგანიზაციები განიცდიან დევალვაციას“.

ვფიქრობ, საჭიროა არა მხოლოდ ღია წერილი, ხელისუფლების მხრიდან ოფიციალური მიმართვაც. საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რომ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები სინამდვილეში წარმოადგენენ მავნებლურ კუნძულებს, სადაც იგეგმება დეზინფორმაცია, ჭორი, ათასნაირი სიბინძურე და ამაში იხარჯება მილიონობით დოლარი. როგორ შეიძლება, მაგალითად, „აირაის“ რომელიმე კვლევა იყოს სანდო, როცა საველე სამუშაოებს ატარებს მამალი ნაციონალის, ლევან თარხნიშვილის რომელიღაცა შპს? როგორ შეიძლება, კვლევა იყოს სამართლიანი, როცა კვარტალში ერთხელ გვიცხადებენ, რომ ქვეყანაში ყველაზე რეიტინგული პოლიტიკოსი არის დავით ბაქრაძე? ეს სასაცილოა, ძალიან სასაცილო!

ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუში ყურადღება გაამახვილა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რამაც საზოგადოებაში გამოიწვია დაბნეულობა, ხოლო ე.წ. ოპოზიციას მიეცა „მიზეზი“ სალაპარაკოდ. მოდით, კიდევ ერთხელ სიტყვა-სიტყვით წავიკითხოთ ივანიშვილის ნათქვამი:

„რეალობიდან უნდა გამოვიდეთ და არა ეიფორიულად ვიძახოთ, რომ ჩვენ უმუშევრობას აღმოვფხვრით, ჩვენ ყველას დავასაქმებთ, რომ ჩვენ დავაბრუნებთ ემიგრანტებს. ეს არ არის მარტივი პროცესი. საშუალოდ, რამდენიც გასულია, არის მილიონნახევარი და ქვეყნის შიგნით უმუშევარი რაცაა, დაახლოებით ორი მილიონი ადამიანი მოითვლება. კარგი ეკონომიკის პირობებში და კარგი კოორდინაციის შემთხვევაში, საშუალოდ 50 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიძლება შექმნას საქართველომ. ათწლეულები სჭირდება იმას, რომ ჩვენ ყველა დავასაქმოთ საკუთარ სამშობლოში. ქართველი ემიგრანტების უმრავლესობა საზღვარგარეთ არალეგალურად მუშაობს, უამრავი ქართველი დღეს საშოვარზეა გადაგებული, აბსოლუტური უმრავლესობა არის დასაქმებული არალეგალურად. ჩემი ინიციატივა იყო მამუკა ბახტაძესთან ერთად და ამას განვიხილავდით, გუნდიც ჩამოვაყალიბე თ. რამდენიმე თვეა, უკვე აქტიურად ვმუშაობთ ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებთან, ვაფორმებთ კონტრაქტებს და მივდივართ ამაზე, რომ შევავსოთ ის დეფიციტი, რაც ევროპელებს აქვთ. ევროპელებს აქვთ სამუშაო ადგილები, აკლიათ სამუშაო ძალა,





ჩვენ არ გვაქვს სამუშაო ადგილები, ეს არის ჩვენი ძირითადი პრობლემა. ახლა განმარტება დამჭირდება, აგიხსნით, რა ხდება რეალურად. გაიხსენეთ პოლონეთი, ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა, გაიხსენეთ ბულგარეთი, ასეთივე დაცლილია, როგორც საქართველო. პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, ამას განიცდიან და თვითონაც ცდილობენ, რომ ეკონომიკა დააწიონ ამ პრობლემებს. სადაც მაღალი ხელფასია, იქ გადაედინება მუშახელი, მაგრამ ცივილიზებულად ხდება, ისინი არ არიან ღირსებაშელახულები – ლიეტუველი რომ მიდის, ვთქვათ, გერმანიაში სამუშაოდ, ჯდება ტრანსპორტზე და ბრუნდება უკან, როცა უნდა, მოწყვეტილი არ არის სამშობლოს. ჩვენ დავიწყეთ ძალიან აქტიურად მუშაობა გერმანიასთან, შეიძლება რამდენიმე ასეული ადამიანი შემდეგ გაზაფხულზე მოვახერხოთ და გავუშვათ სეზონურ სამუშაოზე. მთავარია, ჩვენ ხელშეკრულებები გავაფორმოთ. თუ ჩვენ მოვახერხებთ, რომ გერმანიასთან, საფრანგეთთან და სხვა განვითარებულ ქვეყნებთან, სკანდინავიის ქვეყნები უფრო რთულია, მაგრამ იქ კიდევ უფრო მაღალია ანაზღაურება, ხელფასები, ისრაელთანაც ამას ვახერხებთ ლეგალურად, გადავამზადებთ პროფესიებს აქ, ჩვენს სასწავლებლებში უფასოდ და რაც სჭირდებათ ზუსტად და მივავლენთ სამუშაოდ. იაფი რეისები, რაც დღეს ქუთაისიდან არის, ამას მთავრობა ასუბსიდირებს. გავზრდით ამ ნაწილს, 30–35 ევროდ შეიძლება პარიზიდან ჩამოხვიდე თბილისში, ქუთაისში. ჯერ ღირსეულად ჩავა იქ, როგორც გერმანელი, ისევე დასაქმდება, არავის დაემალება, გაფორმებული იქნება კონტრაქტი და დასაქმდება ნორმალურად. რეალობა ესაა, ორ მილიონ სამუშაო ადგილს ვერც ათ წელიწადში და ვერც ორ წელიწადში საქართველოში ვერანაირი ეკონომიკა ვერ შექმნის. ამიტომ სპეკულაციებს თავი უნდა დავანებოთ და ხალხს ღირსება დავუბრუნოთ“.

სანამ კარგად აგიხსნით, რა თქვა ივანიშვილმა, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ეს იდეა მთავარ თემად ჰქონდა გამოტანილი დავით ბაქრაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში. გაიხსენეთ, ის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გვპირდებოდა, ევროპის ქვეყნებში ლეგალურად დაგასაქმებთო და „ნაცები“ ტაშს უკრავდნენ. როგორც ბატონი ბიძინა ამბობს, ამ ინიციატივაზე კაი ხანია მუშაობენ, კაცი გამოვიდა, გვითხრა, აგვიხსნა და „ნაცები“ ტაშს აღარ უკრავენ, პირიქით, აქეთ იფურთხებიან, ივანიშვილი ქვეყნიდან გვყრის, სამუშაო ადგილებს არ გვიქმნისო. ესე იგი, რაც ამოსულია ბაქრაძის პირიდან, ეს კარგია, რასაც იტყვის ივანიშვილი – ეს ძალიან ცუდია. აი, ამას ჰქვია ორმაგი სტანდარტი და ვირეშმაკობა, ჩემო ძვირფასებო!

დიახ, სრული სიმართლე თქვა ბიძინა ივანიშვილმა, ჩვენ უახლოეს მომავალში უცებ ვერ შევქმნით 2 მილიონ სამუშაო ადგილს. სხვათა შორის, თუ გახსოვთ, „მოქალაქეთა კავშირს“ ჰქონდა ერთ-ერთი არჩევნების დროს სლოგანი: „მილიონი სამუშაო ადგილი“, რაც იყო სრული სიცრუე და სისულელე. მაშინ ამ პარტიის სათავეებთან იდგნენ მიხეილ სააკაშვილი და დღევანდელი „ნაციონალები“. ჰოდა, იმას ვამბობდი... ჩვენ ვერ შევქმნით 2 მილიონ სამუშაო ადგილს რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი – ადამიანებს ურჩევნიათ (ყველაზე არ ვამბობ), გაიქცნენ საზღვარგარეთ და იქურდონ მაღაზიებში, ვიდრე საკუთარ სამშობლოში მიხედონ მიწას, ანუ თოხი და ბარი აიღონ ხელში. ვიცი, ზოგიერთი ამიხტება, თოხსა და ბარში არაფერი ყრიაო. თუ არ ყრია, მაშინ ჩავიდეთ მარნეულში, ბოლნისში, დმანისში, იორმუღანლოში, კაბალში, ყარაჯალაში და ვნახოთ ფონიჭალაც. თვალებს არ დაუჯერებთ, ეს რამდენიმე ადგილი დუღს და გადმოდუღს, რადგან ჩვენი ბაზრები აქედან მარაგდება. რა ხდება დანარჩენ საქართველოში? დაახლოებით ხდება ის, რაც აღწერილია დავით კლდიაშვილისა და ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებში, რაც დაწერა ილია ჭავჭავაძემ თავის მოთხრობაში („კაცია ადამიანი“?). ამ ყველაფერს ქართულად ჰქვია სიზარმაცე, გაუტანლობა და მენტალური სიდუხჭირე.

ბიძინა ივანიშვილის ადგილზე ნებისმიერი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, ინტერვიუში ამ თემაზე საუბარს დაიწყებდა ასე: მეგობრებო, ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, ამაზე ვმუშაობთ კიდეც, დღე და ღამე არ გვძინავს, შევქმნით მილიონ სამუშაო ადგილს... ნუ, მილიონს თუ არა, ნახევარ მილიონს მაინც... არა, უფრო მეტიც შეიძლებოდა, ფეოდალი ივანიშვილი რომ არ გვიშლიდეს ხელს! აი, აქაც ვეჯახებით მენტალურ პრობლემას და სწორედ ამაზე თქვა ბატონმა ბიძინამ, პოლიტიკაშიც დიდი სიდუხჭირე გვაქვსო. შესაძლოა, ამ თემის დასაწყისში მართლაც იყო მცირე განმარტება საჭირო, მაგრამ კაცმა პირდაპირ გვითხრა სიმართლე, ევროპა რომ მოგვწონს, ევროპაში რომ დავდივართ არალეგალურად და ფარულად ვმუშაობთ, ევროპაში რომ დაგვდევენ როგორც „ბომჟებს“, ამას მივხედავთ, წამყვან სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებს გავაფორმებთ და წამდაუწუმ აღარ დაგარეპორტებენ, ისე მოგექცევიან, როგორც ცივილიზებულ ადამიანებსო. ახლა ამიხსენით, რა არის ამაში ცუდი? რაღა დაგიმალოთ და... ბიძინა ივანიშვილმა ამ სიტუაციაში მიბაძა ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, უინსტონ ჩერჩილს – როდესაც ის ამ თანამდებობაზე (1940 წელს) დანიშნეს, ლორდთა პალატაში გამოვიდა და ხალხს მიმართა: ვიცი, ახლა მკითხავთ, რას გვპირდებიო. მე არაფერს გპირდებით, გარდა იმისა, რომ ამიერიდან უფრო მეტი ოფლიანობა მექნებაო. ჰოდა, ხალხო, ჩავიხედოთ საკუთარ გულებში, ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში მეტი ოფლიანობა მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდეს და ამ ოფლის ხარჯზე ვიცხოვროთ. არ გამოვა ასე, არააა! კიდევ ერთი მაგალითი გამახსენდა... ამას წინებზე ერთი ჩემი ახლო ნათესავი ატყდა, პოლონეთში უნდა წავიდე სამუშაოდ, იქ მშენებლობაზე ქართველები მუშაობენ და მელოდებიანო. წავიდა, პოლონეთში არ დახვდა ისეთი სიტუაცია, როგორსაც უხატავდნენ, ვერ მოეწყო სამუშაოზე, ორი თვე იწანწალა, იშავდღევა, იშიმშილა, ვალები დაიდო და ბოლოს დაგვირეკა, აქედან წამიყვანეთ, თორემ თავს მოვიკლავ, ჩაის ფულიც აღარ დამრჩა, თან დამდევენ, დარეპორტებით მემუქრებიანო. რა უნდა გვექნა? გავუგზავნეთ ფული, ჩამოვიყვანეთ და პოლონეთში დადებულ ვალებს დღემდე იხდის. აი, ხალხო, ამაზე ამბობს ივანიშვილი, დევნა-დარეპორტება აღარ იქნება, ადამიანურად წახვალთ და ადამიანურად დაბრუნდებითო. რამდენიმე დღის წინ კახეთში ვიყავი... ისე არ ჩავალ, ამ ცხოვრების ამაოებაზე ადგილობრივებთან ბაასი არ მქონდეს. ერთმა მომახალა: აგე, ძველანაგელი ჟუჟუნა იტალიაში წავიდა, აქ ველარ გაჩერდა, აბა, ივანიშვილი რას აკეთებსო? ნუ, ეხლა, ძალიან სამწუხაროა, თუკი მოლარე ჟუჟუნა იტალიაში წავიდა, მაგრამ რატომ აღვიქვამთ ამას ტრაგიკულად? იმიტომ, რომ ძველ ანაგაში კიდევ ერთი სახლი გამოიკეტა, ხომ? კარგია, როცა ქართველები ამას განვიცდით, მაგრამ მოდით, გავიხსენოთ არცთუ შორეული წარსული... მე 1980-იან წლებში ვმსახურობდი წყნარი ოკეანის ფლოტში, ვლადივოსტოკში, რუსეთ-იაპონიის საზღვარზე, ანუ მაშინ საბჭოთა კავშირ-იაპონიის საზღვარზე. ჩემი თაობისა და უფრო წინა თაობის ადამიანები დაიჯერებთ, პრიმორიაში ცხოვრობდა ძალიან ბევრი ქართველი. გარდა ამისა, ვლადივოსტოკის ბაზრებში ძალიან ხშირად ვხედავდი გორელ გლეხებს, ვაშლს რომ ჰყიდიდნენ, ასევე მარნეულელ გლეხებს – კიტრსა და პომიდორს რომ ჰყიდიდნენ. თბილისიდან ვლადივოსტოკამდე ჩასვლას თვითმფრინავი უნდება 16 საათს. წარმოგიდგენიათ, რა მანძილია? მიუხედავად ამისა, იქ არასოდეს მინახავს ოკეანის პირას მჯდარი ქართველი, ცხარე ცრემლებით მომტირალი, რატომღაც ყველას მიაჩნდა, რომ საკუთარ სამშობლოში იმყოფებოდა. დაინგრა საბჭოთა კავშირი და ჩემი აზრით, დაგვენგრა ცნობიერებაც, თუკი იყო დრო, როცა დედამიწის მეექვსედს ვითვისებდით და საკუთარ სამშობლოდ ვთვლიდით, რატომ ვერ ვითვისებთ უფრო მცირე ზომის ევროპის ქვეყნებს? მესმის, ჩვენთვის ბევრ უცხო რამეს წავაწყდით, მაგრამ რატომ არ გვინდა, ლეგალურად, ანუ ადამიანურად ვიმუშაოთ, ვიცხოვროთ 2 საათის სავალ გერმანიაში, როცა ვმუშაობდით და ვცხოვრობდით 16 საათის სავალ პრიმორიის მხარეში? დაუკვირდით, ჩვენში სიტყვა „ემიგრანტი“ იგივე დატვირთვისაა, როგორიც იყო 1921 წლის შემდეგ საბჭოთა პერიოდში. თუ საქართველოდან ადამიანი წავა საზღვარგარეთ, ის ეგრევე იქცევა ტანჯულ არსებად, რომლის ადგილიც საქართველოში არ არის, რომელმაც ჯიბით უნდა ატაროს ქართული მიწა, რომელმაც სულ უნდა იტიროს და დაადანაშაულოს ბიძინა ივანიშვილი. 1921 წელს გაძევებულთა მდგომარეობა გასაგები იყო, ისინი მართლაც გარიყეს, მაგრამ ახლა, როცა საზღვრები გაგვიღეს (ხომ გვინდოდა?), როცა დედამიწის ნებისმიერ წერტილში წასვლა არ არის პრობლემა (ხომ გვინდოდა?), როცა თავისუფლად ამოვისუნთქეთ (ხომ გვინდოდა?), როცა რუსეთი მტერია და ძლივს ჩავეხსენით (ხომ გვინდოდა?), რაღა გვატირებს, რაღაზე ვიტანჯებით? ჩვენ არ უნდა გვქონდეს ქვეყნიდან გასვლის პრობლემა და არც გვაქვს, მაგრამ ასევე არ უნდა გვქონდეს ლეგალიზაციის პრობლემა, არ უნდა ვიპარავდეთ მაღაზიებში ბოტასებსა და ძეხვს. რაკი არ გვინდოდა საბჭოთა კავშირი და არ გვინდა რუსეთი, მაშინ როგორმე უნდა მოვახერხოთ და გავშინაურდეთ ევროპაში, ამერიკაში, თუნდაც აფრიკაში, ტირილით არაფერი გამოვა. მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან კარგი იქნება, თუკი ქართველი საქართველოში დამაგრდება და საკუთარ ღონეს აქაურობას მოახმარს, მაგრამ არც სადმე სარფიან საქმეზე უნდა ვთქვათ უარი. არ ვიცი, კარგად ავხსენი თუ არა პრობლემის არსი, რაღაც უკმარისობის გრძნობა მაინც მრჩება... ამიტომ, მინდა, ამ თემას უახლოეს მომავალში კიდევ დავუბრუნდე.




ერთადერთი, რაც ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუში არ მომეწონა, არის ის, რომ რამოდენიმეჯერ გაიმეორა, ჩვენ ღარიბი ქვეყანა ვართო. არა, არა და არა, ამაში არ ვეთანხმები, საქართველო არ არის ისრაელივით ღარიბი ქვეყანა, სადაც მიწასაც (ჰუმუსს) კი ყიდულობენ. ამ ქვეყანაში თესლი შემთხვევით რომ დაგივარდეს, მეორე დღესვე ამოდის. ჩვენ, ქართველებს პრობლემა გვაქვს, ვიმეორებ, მენტალიტეტში... უკვე შეგახსენეთ, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ საქართველოში წარმოშობით აზერბაიჯანელები (სწორედ მათგან უნდა ვიღებდეთ მაგალითს). ორიოდე დღის წინ ერთი ქალბატონი მეკამათებოდა, ჩემი ვაჟი უმუშევარია, სახლში ზის, ამ ივანიშვილმა რა დღეში ჩაგვყარაო? ვკითხე, თქვენ შვილს რა სპეციალობა აქვს, რა იცის-მეთქი? არაფერიო. როგორ, სულ არაფერი-მეთქი? არა, ადრე რაღაცაზე სწავლობდა და მიატოვაო. რაკი არაფრისგან არაფერი გამოდის, მაშინ თოხი აიღოს ხელში, შეიძლება გაუმართლოს-მეთქი. უიმეეეე, რას ლაპარაკობ, ჩემი შვილი თოხისა და ბარის ამღებია ხელშიო?! გამოგიტყდებით, ასეთ პასუხებზე აზროვნება მეკეტება და აგრევე გინებაზე გადავდივარ ხოლმე! ამას წინებზე ერთგან მოვხვდი სურასთან, ათიოდე კაცი იქნებოდა. ჩემს წინ მჯდომმა ორმა ბიჭმა ორიოდე ჭიქა გადაჰკრა და დაიწყეს, სამუშაო არ არიო, ყველგან უვიცები სხედანო, ჩვენ კიდე იძულებულნი ვართ, საქართველოდან წავიდეთო. ჩემს გვერდით ბიზნესმენი მჯდარა, თურმე რაღაც ობიექტებს აშენებს და ამათ ეუბნება: ბიჭებო, მე მაქვს სამუშაო, ხვალვე დაგასაქმებთ, კაი ხელფასებსაც დაგინიშნავთ, ოღონდ მითხარით, რა იცითო. არაფერი არ ვიცითო. მაშინ მითხარით, რა გინდათო. უი, ჯერ მაგაზე არ გვიფიქრიაო. მეორე ფაქტი – ერთი ქალი მყავდა გადაკიდებული, ჩემ შვილიშვილებს სამსახური უშოვე, თორემ ამერიკაში წავლენ და შენს სინდისზე იქნებაო. რა იციან-მეთქი? არაფერიო. რა უნდათ-მეთქი? გოგი თოფაძესთან უნდა დააწყებინო მუშაობა, 700–800 ლარი ჯიბის ფულად რომ ჰქონდეთო. თოფაძე გავიგე, მაგრამ კონკრეტულად სად-მეთქი? მაგაზე შენ იფიქრეო. აი, დღემდე ვფიქრობ და ვერ მოვიფიქრე.

ბოლოდ და ბოლოს, თქვენც იფიქრეთ, ხალხო, ყველაფერზე მე და ბიძინა ივანიშვილი ხომ ვერ ვიფიქრებთ? ვინც არაფერი იცის, თოხი აიღოს ხელში და ოფლი მოიდინოს!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# კოლექტიური ნაცები და ლევან ვასაძე ერთად იყვნენ, ერთად არიან და მომავალშიც ერთად იქნებიან

*გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელი ბესო მიქავა.*

— ოპოზიციის არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა გამორიცხულია, რაც თავადაც კარგად იციან, იმიტომაც ძაბავენ ვითარებას, ქვეყნის არევა უნდათ, მაგრამ მე ხელისუფლებასთან მაქვს კითხვა. გამოვიდა მმართველი პარტიის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი კობახიძე და ამბობენ, ვინც იმ საპროტესტო აქციაზე დგას, იგულისხმება ოპოზიციის წარმომადგენლები, ყველა დამნაშავეები არიან, ზოგს ფული აქვს მოპარული, ან რაღაც სხვა დანაშაული აქვს ჩადენილიო. თუ დამნაშავეები არიან, რა არჩევნებზე ელაპარაკები? დამნაშავეები კი არიან, მაგრამ მათთან დიალოგითა და თანამშრომლობით დემოკრატია გადავარჩინეთო. დამნაშავეების არდასჯა, მათთან თანამშრომლობა დემოკრატია არ არის.

სხვა ოფიციალური პირებიც რომ აცხადებენ ნაციონალებზე ეს ოფიციალურად დამნაშავეა, ქურდი და ყაჩაღია, ეს არის პოლიტიკური შეფასება და ამავე დროს ის ინფორმაცია, რომელზეც შესაბამისმა ორგანომ უნდა იმსჯელოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პროკურატურა ვალდებულია აღძრას სს-ის საქმე და დაკითხოს განმცხადებლები, რასთან დაკავშირებით არის ის კონკრეტული პიროვნება დამნაშავე. გამოიძიონ. თუ დამნაშავეა ის ადამიანი, დასაჯონ, თუ არ არის დამნაშავე, მაშინ გამოდის, ესენი სწამებენ ცილს და ამათ აგებინონ პასუხი. ამგვარ დანაშაულზე ცალკე მუხლია კოდექსში. პროკურატურა რატომ არ ინტერესდება ამ ინფორმაციებით? ერთ-ერთი ჟურნალისტი იმის გამო ჩასვეს ციხეში, ფეისბუქით დაემუქრა სხვა ჟურნალისტსო. გრიგოლ ვაშაძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სპეცრაზმელს, ბოკერია ღია ტექსტით ემუქრება პოლიციელებს, მათ რატომ არ სთხოვენ პასუხს? შერჩევითი სამართალი და ორმაგი სტანდარტი ღუპავს ქვეყანას. მე საპროტესტო აქციას რომ ვაწყობდი, 9 აპრილის მემორიალთან შეშის მიტანის კი არა, დაჯდომის უფლება არ მომცა პოლიციამ. ამ ე.წ. პროტესტანტებმა კი რას დაამსგავსეს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, ნაგვით გაავსეს იქაურობა, რასაც მერე პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს ესროდნენ, ამათ ქმედებას არ ჭირდება პატრული და პროკურატურა? მერე კი დაშალეს აქცია და გაიტანეს ის ნაგავი, მაგრამ აქამდე არ უნდა მიიყვანონ საქმე. იგივე 20 ივნისის საქმე, დღემდე ბოლომდე არ არის გარკვეული, მაშინაც ვთქვი და გავიმეორებ, პროკურატურას უნდა განეხორციელებინა შესაბამისი ქმედებებია. გახარიას შს მინისტრობის დროს რომ დაშალეს აქცია, არ დაურბევიათ, როგორც ესენი ცდილობენ ხალხი დაარწმუნონ, „მომიტინგეები“ წიოკობდნენ, გადადგეს გახარიაო. ახლა ვახტანგ გომელაურის მინისტრობის დროს რომ შლიან, იგივე „კამანდა“ გაჰკივის, ბიძინა გადადექიო. მაშინ გახარია იყო დამნაშავე და ახლა ბიძინა?



**– ბატონო ბესო, თქვენი აზრით, როგორი საარჩევნო სისტემა უნდა მიეღო პარლამენტს?**

– სიმართლე გითხრათ, დიდად არ მაინტერესებს როგორი საარჩევნო სისტემა იქნება, მაჟორიტარული თუ პროპორციული, არსებობს წესი, კანონი და იმას უნდა დავემორჩილოთ. თურმე ბიძინა ივანიშვილმა მოიტყუა, ჯერ რა მოტყუებაზეა საუბარი, პარლამენტმა მიიღო ის კანონი, რაც გადაწყდა. იმის გამო, რომ ვიღაცას ეს კანონი არ მოგწონს, ხელისუფლება უნდა დაამხო? თუ მოტყუებულად გრძნობ თავს, ხელისუფლება იმით დასაჯე, რომ არჩევნებში ნუ მიიღებ მონაწილეობას ან სხვა ცივილური ფორმა შეარჩიე. უკმაყოფილების გამო რომ გამოდიხარ და სახელმწიფო შენობებს ანგრევ, საჯარო მოხელეებს მუშაობის საშუალებას არ აძლევ, ვინ მოგცა ამის უფლება? ვინ იქნება ხელისუფლებაში, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ის სისტემა არსებობდეს, რომელიც ერს უნდა და მისი განვითარებისთვისაა აუცილებელი.

ბოკერიას და ნაცმოძრაობის წევრთა უმრავლესობას არასდროს აინტერესებდათ არჩევნები, ქართველი ერი, სახელმწიფო. მეტსაც გეტყვით, მათ ყოველთვის ფეხებზე ეკიდათ ე.წ. ლიბერალიზმიც, რომლის ვითომდა დაცვაზეც დღეს თავი აქვთ გამოდებული საკუთარი კეთილდღეობისთვის. თუ დაჭირდათ, ესენი დღესვე გახდებიან პრორუსები, ხვალ შეიძლება პროჩინელები გახდნენ. მათ არასდროს ჰქონიათ იდეა, რის გარშემოც იყვნენ გაერთიანებული, არანაირი იდეოლოგია არ გააჩნიათ, უფრო სწორედ, მათი იდეოლოგია ფული და ძალაუფლებაა. როგორ შეიძლება ბოკერიასა და მისი თანამოაზრეებისგან კარგს ველოდებოდე, რომ ქვეყნისთვის სიკეთე უნდათ და ცვლილებებს იმიტომ ითხოვენ?! უბრალოდ, ეს გაუთვითცნობიერებელი და გაუნათლებელი ხალხის მოსატყუებლად ჭირდებათ. ცნობილი გამონათქვამია, რომ უვიცობა და ამპარტავნობა ღუპავს ქვეყანას. გულუბრყვილო ადამიანებს ზოგიერთი „პატრიოტისაც“ სჯერა, რომ ისინი ეროვნული ფასეულობების დამცველები არიან, ებრძვიან ნაციონალებს, ლგბტ პროპაგანდას და ა.შ. თქვენი ჟურნალისტი ესწრებოდა იმ საუბარს, როცა დამირეკა ლევან ვასაძემ, მას სურდა, რომ ის ხალხი, ვინც ვეწინააღმდეგებოდით ლგბტ-ების აქციის ჩატარებას ვეწინააღმდეგებოდით,



მის გუნდთან გავერთიანებულიყავით. მე რომ არ ვყოფილიყავი ამას აპირებდნენ, მაგრამ ჩავუშალე გეგმა. მე თქვენს გაზეთში უკვე მქონდა ნათქვამი, რომ კოლექტიური ნაცები და ვასაძის გუნდი ერთად არიან, იყვნენ და იქნებიან.

სხვათა შორის, არაერთხელ მომისმენია, რომ ეს ვითომდა ტრადიციების დამცველი ვასაძე, პირიქით, აპიარებს ამ გეი-თემს, მსოფლიოს თვალში „წამებულებად“ გამოყავს.

მათი ფსიქოლოგია, აზროვნება არის ერთი და იგივე. ვასაძეს უნდა „პატრიოტის“ მანტია მოირგოს, ბევრჯერ გაიშიფრა, ახლა სხვა თემები აღარ აქვს და ზვიად გამსახურდიას კრიტიკაზე გადავიდა, ცილიც დასწამა, თურმე პირველი პრეზიდენტი ქალების ჭკუაზე დადიოდა. რა გამოდის ვასაძის ლოგიკით, საქართველოს დამოუკიდებლობა ბატონ ზვიადს მისმა მეუღლემ გამოაცხადებინა? მაშინ გმირი ყოფილა ეს ქალბატონი და რაღას ვერჩით?! ერთი ადამიანი ქვეყანაში ყველაფერს ვერ მართავს, ვერც ბიძინა ივანიშვილი მართავს და ვერც ზვიად გამსახურდია მართავდა, ყველას აქვს თავისი სუსტი ადგილები. ბატონი ზვიადისთვის უმთავრესი მიზანი და სურვილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მას თავისი ქვეყნისთვის არ უღალატია, ერი არ გაუყიდია, როგორც შეეძლო და ესმოდა, რაც ცალკე თემაა, ისე აკეთებდა. რამდენად სწორი იყო მისი ქმედება, ამას ისტორია დაადგენს.

გენპროკურატურასთან აქციას ვმართავ, მივიტანე პლაკატი, სადაც ბოკერია და ვასაძე ერთად არიან, პროკურატურის წარმომადგენლებს ვუთხარი, არ იფიქროთ, რომ ამათიანი ვარ, ესენი დასაჭერები არიან, მაგრამ პროკურატურა არ იჭერს. თქვენ იმიტომ ხართ დასასჯელები, რომ ეს ნაძირალები თქვენი „ნასედკები“ არიან და ამათი საშუალებით აბუნტებთ ხალხს-თქო. პროკურატურა დღეს დამოუკიდებელი ორგანოა, მაგრამ გარკვეული ჯგუფი დგას მათ უკან და ის მართავს. დღეს ყველაზე მეტი ინფორმაცია, მათ შორის კომპრომატები ვიღაც-ვიღაცეებზე, ამ უწყების ხელშია, უშიშროების სამსახურს რა ინფორმაციებიც ჰქონდა, ისიც კი პროკურატურამ წაიღო. ვინც ყველაზე მეტად არის ინფორმირებული, შესაბამისად ძლიერიც ისაა და რეალურად ქვეყანას ის მართავს. ერთი სიტყვით, ყველა კომპრომატი პროკურატურაში დევს და მას შეუძლია საკუთარი სურვილის მიხედვით ათამაშოს, ნებისმიერი მის მიერვე კომპრომეტირებული პერსონა. მე პაატა-პეტრე ცაავაზე ტყუილად არ მითქვამს, რომ პროკურატურის „კაცია“, რომელიც ჯიბგირი, ჯიბის ქურდი იყო და ციხეშიც იჯდა. თავისთავად მასზეც იქნება კომპრომატები, თუნდაც იმ კუთხით, ციხეში როგორ იქცეოდა. ასე კომპრომეტირებულნი არიან სხვებიც. ზურაბ ჟვანიამ ხუთი მილიარდი კუპონი რომ გაიტანა ბანკიდან კრედიტის სახით, შემდგომში კი ქვეყნიდანაც, ეს დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. იმ პერიოდში კუპონი და დოლარი ასე ვთქვათ, ერთი ერთზე იყო. „ჟვანია და კომპანიამ“ ეს ფული ლევან ვასაძეს მისცეს და მან გაიტანა რუსეთში. ჟვანია თვითონ ვერ მოახდენდა ამ თანხის „ექსპორტირებას“, ეს „მისია“ ვასაძემ შეასრულა და თვითონვე დააბანდა ეს თანხა რუსეთში. ვალი იმ დროს დააბრუნეს, როცა ერთი კვერცხი ერთი მილიონი კუპონი ღირდა. ასე გაძარცვეს და დააქციეს საქართველოს მოსახლეობა.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24






# თუ ჩვენი ოპოზიციური სპექტრი დესტაბილიზაციისკენ მიმართულ უგუნურ პოლიტიკას გააგრძელებს, ამან შეიძლება ქვეყნის ეკონომიკა ჩამოშალოს

*გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:*

**— ბატონო ვაჟა, რას იტყვით ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ფონზე?**

— თუ მოვლენებს წმინდა ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით შევხედავთ, ვითარება საგანგაშო არ არის. პირიქით, ერთი შეხედვით, ჩვენი ეკონომიკა ვითარდება, რეგრესიას ადგილი არ აქვს. ახლახან, სტატისტიკის სამსახურმა და პრემიერმა გააკეთა განცხადება, რომ ბოლო მაჩვენებლებით, ყველაფრის მიუხედავად, ეკონომიკის ზრდა 5,7 პროცენტია. ეს, ჩვენი სამეზობლოს განვითარების ტემპებთან მიმართებაში, ურიგო მაჩვენებლები არ არის. რეგიონის განვითარების კუთხით, ერთადერთი, სომხეთს აქვს ჩვენსავით მაღალი დონის მაჩვენებელი. ბიუჯეტი სრულდება, შემოსავლების თვალსაზრისით ვითარება სახარბიელოა, მაგრამ არსებულ ვითარებას კრიტიკულად თუ შევხედავთ, რა თქმა უნდა, განვითარების ეს დონე არ იძლევა საშუალებას, რათა მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ამიტომ, დღევანდელი ეკონომიკა, ცალსახად, კატასტროფის მომასწავებელი არ არის. გამოუვალი მდგომარეობა იმ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას თუ ჩვენი ოპოზიციური პოლიტიკური ისტებლიშმენტი უგუნურ ქცევას გააგრძელებს და ეს დაპირისპირება დესტაბილიზაციამდე მივა. თუ ეს ყველაფერი დესტაბილიზაციის სახეს მიიღებს, რა თქმა უნდა, ეს აისახება ეკონომიკის განვითარებაზე, ლარის კურსზე და ა.შ. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ეკონომიკის განვითარების ნელი ტემპი კი არ არის სახიფათო და საშიში, არამედ პოლიტიკური პროცესი, რაც ეკონომიკური განვითარებისთვის ფონს ქმნის. უფრო სახიფათო არის არა რეალური მდგომარეობა, არამედ ექსპორტ-იმპორტის მიმართება და ბალანსი, რომელიც აშკარად არასახარბიელოა. ჩვენ, კვლავ იმპორტდამოკიდებულ ქვეყნად ვრჩებით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვნად შეგვიმცირდა პირდაპირი, კერძო უცხოური ინვესტიციები, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. დიახ, ეკონომიკის კუთხით, ბევრი არასახარბიელო მომენტი არსებობს, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია ის, რომ ხელისუფლებას არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკა და მისი განვითარების ვექტორები. ეს უაღრესად სახიფათოა. ამიტომ, ახლა საზოგადოების მთავარი ამოცანა, ამ მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების დასრულებაა. პროცესებმა მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა გადაინაცვლოს, რათა ის ტვირთი რაც ამ მოვლენებს ეკონომიკასთან მიმართებაში აქვს, განსაკუთრებით, ფეთქებადსაშიში ვითარების თვალსაზრისით, მოიხსნას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საარჩევნო ციკლის მთავარი თემა ეკონომიკა, მისი განვითარების გზები გახდეს და არა გაუთავებელი უსაგნო მსჯელობა იმის შესახებ თუ რომელი საარჩევნო სისტემა სჯობს — შერეული, პროპორციული თუ მაჟორიტარული. ეს უსაფუძვლო პოლემიკა აზარალებს ეკონომიკას, სადაც სერიოზული სახიფათო სიმპტომები არის დასახული.

**— ხშირად გვესმის: ეკონომიკას მართვა არ სჭირდებაო. როგორია რეალობა?**

— მართვა ყველაფერს სჭირდება — ქვეყანასაც, პოლიტიკურ პროცესსაც, ეკონომიკასაც. აქ, ასე ვთქვათ, კონსტიტუცია და პოლიტიკური სისტემა სამოქმედო არეალს, უფლებამოსილებებს ალაგებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის, მთავრობასა და ოპოზიციას შორის და ა.შ. მთავარია, ეს პოლიტიკური სისტემა ეკონომიკის განვითარებას არ ამუხრუჭებდეს და იგი, თავისუფალი ბაზრის კონკურენტული გარემოს პირობებში იყოს დემონოპოლიზებული, გარკვეული თვალსაზრისით, დერეგულირებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეკონომიკის მართვა, კონკრეტული რეგულაციების მეშვეობით, აუცილებელია. ამის გარეშე არ არსებობს სახელმწიფო, ქვეყანა. ყველა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს ეკონომიკის განვითარებას, რადგან გლობალური ვექტორების არარსებობის შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა ჩამოიშლება. აქედან გამომდინარე, ეს პროცესი გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს, რათა თავისუფალი ეკონომიკის პრინციპები განუხრელად განხორციელდეს და არ წარმოიშვას გარკვეული დაყოფა და ცალკეული კლანების თუ მაფიების ჩამოყალიბების შემთხვევაში მათი განუსაზღვრელი პარპაში. ეს ყველაფერი უეჭველად უნდა არეგულიროს სახელმწიფომ, კონკრეტულად, მთავრობამ, რათა საინვესტიციო გარემო უფრო მიმზიდველი გახდეს, ხოლო ბიზნესგარემო მაქსიმალურად თავისუფალი. თუმცა, უნდა არსებობდეს გარკვეული თამაშის წესები, რასაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება ნებისმიერ ქვეყანაში აწესებს.

**— წეღან აღნიშნეთ, ეკონომიკური მაჩვენებლები არასახარბიელო სულაც არ არისო. სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებში, ეკონომიკური პარამეტრების კუთხით, მართლაც მოწინავე ადგილები გვიჭირავს, თუმცა, გავიძახით, რომ ღარიბი ქვეყანა ვართ. რატომ არ არის თავსებადი არსებული რეალობა ციფრებთან?**



— რა თქმა უნდა, საქართველო, წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების მცდელობების შედეგად, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, წინ არის წასული, ვიდრე სხვა ბევრი ქვეყანა რეგიონში. აქედან გამომდინარე, რეიტინგებში ჩვენი მონაცემები სხვა მოთამაშეებზე უფრო უკეთესია, მაგრამ ეს არ არის ეკონომიკური აღმავლობის ერთადერთი ფაქტორი. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეგიონში ვითარება უაღრესად ფეთქებადსაშიშია, არის კონფლიქტები, დიდი მოთამაშეების ინტერესების კვეთა, ვგულისხმობ, დასავლეთს, აშშ-ს, ევროკავშირს, რუსეთს, თურქეთს, ირანს. ამ გარემოცვას კიდევ ე.წ. გაყინულ კონფლიქტებს და საქართველოში ოკუპირებული რეგიონების პრობლემას თუ დავუმატებთ, ასევე, აზერბაიჯანისა და სომხეთის დაუმთავრებელ ომს, დავინახავთ, რომ კაპიტალი ყოველთვის სტაბილურ პოლიტიკურ გარემოს ეძებს, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში მისი კაპიტალ-დაბანდება წამგებიანი არ იყოს. აქედან გამომდინარე, ვხედავთ, რომ განსაკუთრებული მოძალება კაპიტალის კუთხით, სამხრეთკავკასიის ქვეყნებისკენ არ არის. შესაძლოა მეტ-ნაკლებად უკეთესი მდგომარეობაა აზერბაიჯანსა და სომხეთში. თურქეთსაც თავის პრობლემები აქვს, ირანი სანქციების რეჟიმში არსებობს. ამ ვითარებაში, ჩვენ ვალდებულნი ვართ ეროვნული ინტერესები, მაქსიმალურად, გავითვალისწინოთ და პლუს ჩვენს ქვეყანაში ბარიერი არ შევუქმნათ იმავე, თურქულ, ირანულ, რუსულ კაპიტალს. არადა, როგორც კი ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები იდგმევა, მაშინვე პოლიტიკური, გეოპოლიტიკური ფაქტორები შემოდის. ვგულისხმობ, ვითარებას ირანთან მიმართებაში. ასევე, თურქეთთან გვაქვს სტრატეგიული პარტნიორობა, მაგრამ თურქული კაპიტალის აქტიურობაც საქართველოში არასაკმარისია. კიდევ უფრო მცირეა ქართული ბიზნესის შეღწევადობა თურქეთში. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რაც ჩვენ ზოგიერთ მეზობელთან და ბევრ სხვა ქვეყანასთან გვაქვს, არსებითად და ფაქტობრივად ვერ მუშაობს ისევ იმის გამო, რომ პოლიტიკის დონეზე საკითხები დარეგულირებული არ არის. ეს ვითარება თავისთავად აისახება იმაზე, რომ ჩვენთან სამუშაო ადგილები ნელა იქმნება ან საერთოდ არ იქმნება

**— პრობლემაა ისიც, რომ ქვეყანას ეკონომიკური კონცეფცია არ გააჩნია. თუკი მთავრობა გამოსავალს ვერ პოულობს, თქვენ და სხვა ეკონომისტებს ხომ შეუძლიათ გარკვეული ხედვების შეთავაზება?**

— ასეთი კონტაქტები, შეხვედრები მიმდინარეობს. ვერ ვიტყვი, რომ მთავრობის ამჟამინდელ ეკონომიკურ გუნდს კომპეტენცია აკლია. თავისთავად, ნათია თურნავა, ვანო მაჭავარიანი კვალიფიციური, მასშტაბურად მოაზროვნე, გამორჩეული ადამიანები არიან, მაგრამ სამწუხაროდ, მათ საქმიანობას შედეგი არ მოაქვს. აქ, უბრალოდ, მიზეზი არა ამ ადამიანების პერსონებში უნდა ვეძებოთ, არამედ „ქართული ოცნების“ გუნდის ხედვაში, რომელსაც მიზანსწრაფულობა, კონკრეტულობა, აქცენტების დასმა და რაც მთავარია ჩვენი სადღეისო და სამომავლო ამოცანების გააზრება აკლია. მეტიც, ზოგჯერ რაღაც პოლიტიკა არსებობს, მაგრამ საზოგადოება ინფორმირებული არ არის იმიტომ, რომ ის ტექნოლოგიები, რაც ამ სფეროში უნდა არსებობდეს, ეფექტური არ გახლავთ. დასავლეთ საქართველოდან რომ წამოხვალთ, მაგისტრალზე უზარმაზარი სამუშაოები მიმდინარეობს, საამისო სახსრებიც მოძიებულია. მაგრამ რეალურად, ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საერთოდ არ ვიცით: რას ფიქრობს ხელისუფლება, რას რა მიზნით აკეთებს.

**— ბატონო ვაჟა, ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედს“ ინტერვიუ მისცა, სადაც აღნიშნა, რომ ქვეყანაში ერთ ან ორ წელიწადში 2 მილიონი სამუშაო ადგილი ვერ შეიქმნება. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?**

— დიახ, ივანიშვილმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ორ მილიონ სამუშაო ადგილს ერთბაშად ვერ შექმნის. მე, ვეთანხმები ბატონ ბიძინას — ერთბაშად, ორი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა ერთ და ორ წელიწადში, შეუძლებელია. მაგალითად, არაჩვეულებრივი ინიციატივა აქვს ეკონომიკის სამინისტროს, რომელმაც 100 საპრივატიზაციო ობიექტი გასაყიდად გამოიტანა. ამ საწარმოების ამოქმედების შემთხვევაში მთავრობა 2500 სამუშაო ადგილის შექმნას ვარაუდობს. ეს კარგია, მაგრამ არასაკმარისი, მეტია საჭირო. ის, რომ სამუშაოდ საზღვარგარეთ წამსვლელ ადამიანებს დავეხმაროთ და ისინი გადავამზადოთ, ეს ურიგო არ არის. ვისაც წასვლა უნდა ან იძულებულია ქვეყნიდან დროებით წავიდეს, მას, რა თქმა უნდა, უნდა დავეხმაროთ, რათა ენა ისწავლოს. სხვათა შორის, ევროპის ქვეყნებში ადგილობრივ მოსახლეობაში ქართველი ძიძები და მოხუცების მომვლელები დიდი მოწონებით და სიმპათიით სარგებლობენ. თუმცა, რეალურად ეს არ უნდა გახდეს ჩვენი დასაქმების პოლიტიკის ძირითადი მიმართულება ან უმუშევრობასთან ბრძოლის მთავარი ვექტორი. თანაც, ამ შემთხვევაში, ქვეყანა შრომისუნარიანი მოსახლეობისგან იცლება და გარკვეული დროის შემდეგ საქართველოში ეკონომიკური აღმავლობა რომ დაიწყება და საჭირო გახდება უფრო მეტი მუშახელი, უკვე ქართველები კი არა, საქართველოში შემოსული სხვა ერის წარმომადგენლები შეავსებენ ამ ადგილებს.

ზოგადად, მოსაფიქრებელია, თუ რა კონცეფციით უნდა განვითარდეს საქართველოში სოფლის მეურნეობა. კონცეფციაზე მუშაობაა საჭირო, დრო აღარ ითმენს, არადა, პროცესი, თანდათან, შეუქცევად ხასიათს იღებს. გამოსავალი მხოლოდ ერთია — ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტში ყოფნა და მათი მონაწილეობით ქვეყნის განვითარების გეგმის დასახვა. ამ ყველაფერს ხორცი მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა უნდა შეასხას, რომელსაც საამისო ძალა შესწევს, მაგრამ აქ, გარკვეული დისონანსია თავად მმართველობის ხასიათში. როცა წელიწადში რამდენჯერმე იცვლება ეკონომიკის, ფინანსთა მინისტრი, აქ, უკვე მემკვიდრეობითობაზე და გარკვეულ რეფორმებზე გათვლილი განვითარების ვექტორის მოძიება ძალიან ძნელია. ასეთი ხედვის ჩამოყალიბება ქუჩის დაპირისპირების პირობებში შეუძლებელია, მით უმეტეს, საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები ამის შესაძლებლობას ისედაც არ იძლევა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ნაციონალი „მშვიდობის მტრედების“ სისხლიანი წარსული



გვახსოვს, განმუხური... ხურჩა... ლაფანყური... „7 ნოემბრის გადატრიალების მცდელობა“ ... პატარკაციშვილის „შეთქმულება“ ... „მუხროვანის ბუნტი“ ... “ მოდელირებული ქრონიკა”... კოჭოიები... ენვერები... ბომბებიანი ტუშონკები... „იმედის“ განადგურების მცდელობები... ამერიკის საელჩოს აფეთქებები... და სხვა უამრავი უნიჭო წარმოდგენები რომელსაც უდანაშაულო ადამიანები ეწირებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცხროვას საქართველოში შიშის და პანიკის დათესვა სურდათ ხოლო საერთაშორისო საზოგადოებისთვის იმის ჩვენება თუ როგორ ებრძოდა პატარა ქვეყნის ხელისუფლება დიდ ოკუპანტ რუსეთს და როგორ ოპერატიულად ავლენდა „აგენტებს“. მართალია საზოგადოებამ მოგვიანებით



გავრცელებულ ვიდეო მასალაში ნახა, როგორ ძალავდნენ ჩვენებას „აგენტებს“, თუმცა ნაცლიდერებს და მათ მიმდევრებს ქრონიკული სკლეროზი აქვთ. არ ახსოვთ არც სხვა სისხლიანი წარმოდგენები. აფრასიძეების ოჯახზე თავდასმა ჯარით, ვერტმფრენებით და მძიმე არტილერიით. ბუტას, სანდროს და უამრავი უდანაშაულო ბიჭების უმოწყალო ჩახოცვა. ნაცუტიფრების ხროვა დღესაც ცდილობენ მკვლელები გმირებად წარმოჩენას და ვაჟკაცების სისხლით მორეცხილ მიწაზე კაბიან-საყურიანი, გაბრუებული, შარვალ ჩახდილი კაცის ანახლეწები „იბრძვიან“ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად... სააკაშვილი აღზევებამდე ამბობდა, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდით, ჩვენს უმრავლესობას ჯიბეში არასოდეს ორმოც ლარზე მეტი არ გვქონდა და, ძირითადად, ტროლეიბუსით დავდიოდითო! ჰოდა ამიტომაც „მან ამოძირკვა კორუფცია!“. უფრო სწორად, მან იმ ხალხის კორუფცია ამოძირკვა, ვინც მისი ერთგული არ იყო და იმ ხალხის კორუფცია დააკანონა, ვინც მის ბანაკში ბუდობდა. „მან ამოძირკვა კლანურობა! სხვა კლანების ბატონობა ჩაანაცვლა საკუთარი კლანის ბატონობით! განსაკუთრებით გულუხვი აღმოჩნდა ოჯახური კლანის მიმართ, მამისი ერთი უბრალო ექიმიდან და საშუალო რანგის მოხელედან იქცა ინსტიტუტის დირექტორად და რამდენიმე კურორტის მფლობელად... დედამისი, ერთი ჩვეულებრივი, მაგრამ უზომოდ ამბიციური პროფესორიდან იქცა რამდენიმე უნივერსიტეტის მფლობელად და თანადამფუძნებლად და მილიონერად, რომელსაც მისი შვილის საამებლად სხვადასხვა უმაღლესი მოხელეები ერთ ლარად ქონებებს ჩუქნიდნენ. და ლამის ყოველთვიურ უცხოეთში ვიზიტებს სახელმწიფო აფინანსებდა. მისი ძმებიც მილიონრებად გადაიქცნენ. პრეზიდენტის ბიძა, რომელიც თან რუსეთის კგბ-ს ფუნქციონერი იყო და თან რუსეთთან „სამკვდრო-სასიცოცხლოდ“ გადაკიდებული დისწული აღზარდა; თან გაეროში განიარაღების საკითხებში მაღალი რანგის პოსტი ეკავა და თან იარაღით ვაჭრობის ბიზნესში მოიდგა წელი; და იმ დროს, როცა მისი დისშვილი რუსებს რისხვიანი რიხით ელაპარაკებოდა, ბიძამისი რუსებს (საკუთარ ძმაკაც გენერალოვებს) აბარებდა საქართველოს ოქროს და სპილენძს!გვახსოვს ვარდების რევოლუციის კიდევ ერთი მეტყველი სახე — დავით კეზერაშვილი. მისი პირველი გამოსვლა ასპარეზზე, როგორ აგინებდა დედას ტელეფონში თავის უფროსს, გამოცდილ დიპლომატს. გვახსოვს მისი თავბრუსდამხვევი კარიერა, როდესაც ოცდარვა წლის უმეცარი უეცრად თავდაცვის მინისტრად იქცა და მთელი ხუთდღიანი ომი გაგლეჯილ კაიფში ისე გაატარა, რომ საერთოდ არც კი გამოჩენილა არც ჯართან და არც ხალხთან. გამილიონერებულ დავით კეზერაშვილს საქართველოდან გატანილი ფულით ისრაელში წარმატებული ბიზნესი აქვს, ხოლო მის მიერ დატერორებულ და დაყაჩაღებულ ასობით პატიოსან ბიზნესმენი დღემდე, უიმედოდ ეძებს სამართალს. „ორმოცლარიანი“ გალეტილების ხროვაში არ შედიოდა ერეკლე კოდუა რადგან დედამისმა ჯერ კიდევ„მხედრიონის ზეობის“ ხანაში ჟორიკა რურუას ქოლგის ქვეშ საკმაოდ სოლიდური თანხა მოაგროვა ნარკოტიკების ვაჭრობის შედეგად. შემდეგ ბორდელებიც „წაამატა“ და ვარდოსნებთან მისი შვილის გასხივოსნების შემდგომ წართმეულ-ახეული ბიზნესებით გაშალა ფრთები. მოკლედ, მიხეილის გვერდით მდგომი მათხოვრები მინიმუმ მილიონრებად იქცნენ... გვახსოვს მარიკა ვერულაშვილი ერთი ტლუ, ძალიან გაჭირვებული ქალბატონი, რომლის პროფესია სხვადასხვა ანკეტაში ხან იურისტი იყო, ხან — ჟურნალისტი, არავინ იცის რა ტალანტის გამო იქცა იგი საქართველოს ერთერთ ყველაზე გავლენიან ქალბატონად. გვახსოვს მისი ნაამბობიც 106 წლის ქალბატონის გაუპატიურებაზე ოკუპანტების მიერ... გვახსოვს არაფრის მცოდნე მომღიმარი ვერა ქობალია, ხათუნა კალმახელიძე, ნინო კალანდაძე!. . ვიცით, რატომ გახდნენ მინისტრები, რა უნარ-ჩვევების წყალობით. რა დაგვავიწყებს იმავე უნარ-ჩვევის წყალობით დაწინაურებული ალანა გაგლოევა, მის მიერ ავარიაში დასახიჩრებული ადამიანი (რომლის სახელი უკვალოდ ჩაფარცხეს), და მისი ბებიის გამოსაყვანად სამხრეთ ოსეთში დაგეგმილი ღონისძიება. მოკლედ, მიხეილი თავის ხროვას მაქსიმალურ კომფორტში აცხოვრებდა, არ იშურებდა ფინანსებს საერთაშორისო ასპარეზზე მის მიერ მოტანილი „დემოკრატიული შუქურის“ ბრწყინვალების გასაპიარებლად. სამაგიეროდ ხალხის უმრავლესობა არნახულ ტერორში ყავდა და ხმის ამოღების უფლებაც არ ჰქონდათ... გვახსოვს, საზღვარგარეთ, ბიუჯეტის ხარჯზე მიხეილის და მისი ხროვის ნარნარი. ნაცპარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციას აცდენილი კანონები და უამრავი მათი უკანონო ქმედება. დატერორებული მოსახლეობა. თავდაცვის და პროკურატურის ფონდში შესული და შემდეგ გამქრალი ასობით მილიონი. გვახსოვს ათასობით გატყავებული, ქონება წართმეული, ღირსება აყრილი, ნაწამები, სამართლის მაძიებელი დაზარალებულიც რომლებიც ადეიშვილის ლეკვებით გადავსებულ პროკურატურაში დღემდე ამაოდ ეძებს სამართალს! სამაგიეროდ, დაუსჯელობით გაყოყოჩებული ნაცლიდერები უტიფრად ცდილობენ მართვის სადავეების ხელში ჩაგდებას. არც ფინანსური რესურსი აკლიათ, არც „საერთაშორისო მხარდაჭერა“, მაგრამ აკლიათ მთავარი — საზოგადოების მხარდაჭერა. ოპოზიციის გაერთიანებამ ნაცხროვასთან მდგომ მცირე რეიტინგიან პარტიებს პოლიტიკური სამარე გაუმზადა. ხოლო, იმ ვაი პოლიტიკოსებს რომლებიც მიხეილს ჯალალედინს ადარებდნენ და დღეს ჭიქას უჭახუნებენ სამუდამოდ დაიმკვიდრეს მოღალატის და ფულზე გაყიდული არარაობის სტატუსი!

დღეს, მკვლელების, მტაცებლების, ქვეყნის გამყიდველების, დამაქცევრების, ერთადგილამხედრებულების ხროვის წევრები ბედავენ და ჯოჯოხეთის მოწყობით გვემუქრებიან. მათ მიერ მართული მედია, სხვადასხვა რეგიონში გადაღებულ-დამონტაჟებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების, ჩვენებით აპოკალიფსს გვიხატავს. დიახ, მოსახლეობა სამართლიანად გამოთქვამს უკმაყოფილებას არსებული სოციალური მდგომარეობის, ჯანდაცვის სისტემის, გზის არ ქონის, წყლით მომარაგების გამო, მაგრამ ნაცლიდერებს მილიარდები თავის ცხოვრების და „ნაშების“ ცხოვრების მოსაწყობად, რომ არ ეხარჯათ, თავის და უცხოელი მფარველების ჯიბის გასასქელებლად არ გაეყიდათ სტრატეგიული ობიექტები, არ ჩამოესახლებიათ უცხოელები, რომლებიც ნაცების მიერ გაღატაკებული მოსახლეობისგან კაპიკებში ყიდულობდნენ უძრავ ქონებას და არ მოეწყოთ გენოციდი ქართველებისთვის, დღეს ყველა რეგიონს, სოფელს, დაბას, სასმელი წყალი, გზა და ელემენტარული პირობები ექნებოდათ. ვერც, ნაცხროვის სისხლში განბანილი წევრები ირბენდნენ რუსული ბოქლომებით, ვერც არამი ლუკმით გაზრდილი შვილების „დიდ პოლიტიკურ“ ასპარეზზე გამოყვანას გაბედავდნენ ყველაფრისთვის თავის სახელი რომ დაერქვათ და შესაბამისად შესაფერისი ადგილიც მიეჩინათ. მაგრამ ეს არ მოეწონებოდა არც „ძია სემს“ და არც ვოვას. ამიტომაც დღეს ხდება ის რაც ხდება... რაც შეეხება ნაცპროტესტანტების აღშფოთებას შევახსენებ, რომ წინა ხელისუფლების ზეობის ხანაში, ნაცხროვის სამართალდამცავებთან ერთად ზონდერბრიგადები განსაკუთრებული სისასტიკით არბევდნენ მომიტინგეებს. დიახ, შავბნელი ამოცანების გადასაწყვეტად, მიხეილ სააკაშვილმა ნიღბიანი ზონდერბრიგადები შექმნა, რომლებიც ხალხის დაშინების და ძალადობით ცდილობდნენ მიხეილ სააკაშვილის კაშკაშა დემოკრატიას ჩრდილი არ მიდგომოდა. ზონდერები მიხეილის ერთგულ და ყველანაირ სიბინძურეზე უყოყმანოდ წამსვლელ კასტას წარმოადგენდნენ, რომლებიც ფულის გულისათვის ნებისმიერ ადამიანს, თუნდაც ახლობელს და ნათესავს თავ-პირს დაამტვრევდნენ, და ხელფეხშეკრულ გვამს მაღაზიის სახურავზე უყოყმანოდ შეაგდებდნენ. ჯინსებში გამოწყობილი ნიღბიანების რაზმეული, დაახლოებით ასამდე ტურა პირველად 2007 წლის 7 ნოემბერს გამოჩნდნენ. ხელკეტებით და კასტეტებით შეიარაღებულნი რუსთაველზე მოდიოდნენ და იძახდნენ — „ბადრის რა? დედის ტყ... ა!“ ამ რაზმის წევრებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რუსთაველზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მიტინგის მონაწილეთა დაუნდობელ დევნასა და ძალადობაში. ერთ-ერთმა მათგანმა კი საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ავთო ჯორბენაძეს ხელკეტით ისეთი ტრავმები მიაყენა, რომ ეს უკანასკნელი რამდენიმე დღე რეანიმაციაში იყო. რათქმაუნდა მაშინ გამოძიებას არაფერი დაუდგენია, არავინ დაუკავებია. რაც წარმოდუგენელია, რადგან მსოფლიოს არცერთ ნორმალურ ქვეყანაში არავითარი პრობლემა იქნებოდა მრავალრიცხვოვანი ვიდეოების და ფოტოების წყალობით ამ ხალხის თუნდაც ნაწილის დადგენა და დაკავება. 2009 წლის აპრილ-ივლისის ას დღიანი საპროტესტო მოძრაობის დროს ზონდერბრიგადების და გადაცმული აგენტების მიერ ოპოზიციონერთა წინააღმდეგ მრავალი აქტი განხორციელდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ოპოზიციის მიტინგის მიმართ ბმვ-ს ტიპის მანქანიდან ფეკალური მასებით დატენილი ცელოფნის პარკების გამოტყორცნა. მაგრამ იყო უფრო დრამატული შემთხვევები, როცა ადამიანებმა მხედველობა დაკარგეს, მოტეხილობა და სხვა სახის დაზიანება მიიღეს, მრავალი მათგანი კი ცემეს და მორალური შეურაცხყოფა მიაყენეს. ზონდერების მიერ განხორციელებული ეს ქმედება „ჰუმან რაითს უოთჩის“ ანგარიშშიც მოხვდა.



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

# ახალი პოლიტიკური შეთქმულება ძველი სცენარით

***გვესაუბრება საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე „საერთო გაზეთის“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვაჟა კაკაბაძე***

— დავიწყებ იმით, რომ საქართველო 1991 წლიდან მოყოლებული, მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკური ტერორის ქვეშაა და არავინ იცის, 2020 წლისთვის რა ახალ სიუპრიზებს გვიმზადებენ. 2019 წლის ნოემბრის მოვლენები კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ახალი პოლიტიკური შეთქმულება მზადდება, რათა მსოფლიოს დაანახონ, რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფო და კავკასიაში არასტაბილურობის ცენტრია. ამის შემდეგ ზოგიერთ მეზობელ სახელმწიფოს გაუადვილდება საქართველოს ტერიტორაზე თავისი პოლიტიკური ზრახვების განხორციელება და მიწების დასაკუთრება.

**— საკუთარი პრობლემების მეზობლებისთვის გადაბრალება პასუხისმგებლობისგან გაქცევას ჰგავს..**

— სულაც არა. საიდუმლო არ არის, რომ სომხეთი რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელია და რატომ არ უნდა გაატაროს ეს ინტერესები საქართველოში? რასაკვირველია, აქედან სომხეთსაც შეხვდება წილი, როგორც რუსეთის ვასალს და განა არ შეხვდათ აფხაზეთი, სადაც უკვე უმრავლესობაში არიან და კულტურული ავტონომიის შექმნაზე ფიქრობენ.

მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე დიადი სომხეთის შექმნის იდეაზე და აფხაზეთში ბაგრამიანის ბატალიონის მტრულ მოქმედებებზე რომ არაფერი ვთქვათ, საერთაშორისო ასპარეზზე დაფიქსირებული პოზიციაც საკმარისია, როცა ქართველი ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნებას ეწინააღმდეგებიან. ეს ხომ ფაქტია? რაც შეეხება რუსეთს, ეკატერინე მეორიდან მოყოლებული, მისი პოლიტიკა ოკეანეზე გასვლაზე არის ორიენტირებული და ამისთვის შავი ზღვა და საქართველო სჭირდებათ.





**— რუსეთს გულისხმობთ?**

— არა მარტო. საქართველოში მოქმედებს სომხური (ეჩმიაძინის) ლობი, რომელშიც ბევრი ყველასთვის ნაცნობი პოლიტიკოსი შედის. ეს ადამიანები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ჩამოგდებაში და ახლაც დაახლოებით, იგივე გეგმები აქვთ. არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ გავრილოვის ღამეს, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე სომეხი აქტივისტების გამოჩენა შემთხვევითობად ჩავთვალო.

ესეც ფაქტია, რომელსაც პუტინიც არ უარყოფს და ბოლოს, თურქეთს პრეტენზია აქვს აჭარაზე, იმიტომ, რომ ეს არის ტერიტორია, რომელიც რუსეთის შემოტევისგან იცავს.

**— გამოდის, რომ ერთადერთი მეგობარი სახელმწიფო გვყავს, რომელიც დავით გარეჯს გვედავება?**

— დიახ, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობა დავით გარეჯს უკავშირდება და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამაშიც გარე ძალები ურევია. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ ამ თემის ახლა გააქტიურება საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან დაშვებული შეცდომა მგონია. ეს უნდა მომხდარიყო მერე, როცა საქართველო ფეხზე დადგებოდა. გარეჯთან დაკავშირებით, აზერბაიჯანელებთან საუბარი მქონდა და სრულიად დარწმუნებულები ამბობენ, ჩვენ კავკასიელი ალბანელების შთამომავლები ვართო. მაშინ მოინათლეთ ქრისტიანულად თქო — ვუთხარი და გაეცინათ, ჩვენ მუსულმანები ვართო. მაშინ ქრიატიანული სალოცავი შენი როგორაა? აქვე უნდა ვთქვათ, რომ აზერბაიჯანი მხარს გვიჭერს აფხაზეთის დაბრუნებაში და ძალიან დაინტერესებულია, რომ არ მოხდეს სომხეთის კავკასიაში გაძლიერება.

ეროვნული ხელისუფლების დამხობის პერიოდს დავუბრუნდები და გეტყვით, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობის პარალელურად, ქართველი ინტელეგენციის მოსყიდვა და ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირების პროცესი მიმდინარეობდა. რუსეთის და შეფარულად, სომხეთის დესტრუქციულმა პოლიტიკურმა ძალებმა საქართველოში სამხედრო შეიარაღებული გამოსვლის გეგმა შეადგინეს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის შეიარაღებულმა შენაერთებმა და იმ დროს არსებულმა თითქმის ყველა პოლიტიკურმა თუ საზოგადოებრივმა გაერთიანებამ. სამხედრო გადატრიალებამ და კანონიერი ხელისუფლების დამხობამ ქვეყანაში სათავე დაუდო არნახულ უკანონობასა და მოსახლეობის გაღატაკებას. 1992 წლის 2 თებერვალს თბილისში არნახული სისატიკით დაარბიეს მრავალათასიანი საპროტესტო მსვლელობა. მოკლეს 20-ზე მეტი და დაჭრეს 183 მშვიდობიანი დემონსტრანტი.



**— ოპოზიციამ ამაზე საუბარი მას შემდეგ დაიწყო, რაც ქუთაისში, ნაციონალური მოძრაობის ოფისს კვერცხები და ცოცხები დაუშინეს.“ესენი არიან კიტოვანის და ჯაბა იოსელიანი დაგეშილი ადამიანები. მათ კისერზეა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, დანგრეული თბილისი, აწიოკებული სამეგრელო და მტრისთვის ჩაბარებული აფხაზეთი. ეს ხალხი ქუჩაში კი არ უნდა გამოდიოდეს, ბრალდებულის სკამზე უნდა იჯდეს“— განაცხადა პარტია “თავისუფალი საქართველოს” თავმჯდომარე კახა კუკავამ.**

— კუკავას და სხვებსაც შევახსენებდი, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობაში თუ ვინმე აქტიურობდა, ის „რესპუბლიკური პარტია“ იყო, რომელიც დღეს ოპოზიციის რიგებში დგას. სხვებზე აღარაფერს ვიტყვი.. ამიტომ „სხვის ბოსტანში კენჭების სროლას“ ჯობს საკუთარი რიგები კარგად შეათვალიერონ. საერთოდ, „რესპუბლიკური პარტია“ ყველა ამბოხის და გადატრიალების აქტიური მონაწილეა. ზვიად გამსახურდიას შემდეგ შევარდნაძის ჩამოგდებაში მონაწილეობდა და ახლაც იგივეს ცდილობს.

როცა სააკაშვილის ფაქტორზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი გამარჯვება მთლიანად შევარდნაძის მიმართ დაგროვილი ნეგატივის დამსახურებაა. შევარდნაძის სახელს უკავშირდებოდა აფხაზეთში ომის დაწყება, კრიმინალური ძალების თარეში და რაც მთავარია, ხალხმა შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრული ვერ აპატია და ამ ფაქტორებმა სააკაშვილის სასარგებლოდ იმუშავა.

ვის სჭირდება საქართველოში ამდენი არეულობა? რუსეთს სჭირდება საქართველოს თურქეთთან მოსაზღვრე ტერიტორიები და შავი ზღვა, სომხეთს სჭირდება ჯავახეთი და აფხაზეთი და თურქეთს სჭირდება აჭარა. ვინ დაეხმარება ჩვენს მეზობლებს მიზნების შესრულებაში? ვინ — და ფულზე გაყიდული ქართველი პოლიტიკოსები.

**შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც შორიდან სეირის მაყურებელმა ექს-პრეზიდენტმა მიმდინარე პროცესებში ახალგაზრდების პასიურობაზე მიანიშნა, პოლიტიკურ სცენაზე ახალგაზრდული მოძრაობების „სირცხვილია“, „გაბედე“ და „შეცვალე“ გააქტიურება დაიწყო. 2 ოქტომბერს მცხეთაში, დიმიტრი ხუნდაძის ბიუროს ოფისთან მოძრაობა “გაბედეს” წევრებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. იმავე დღეს რამდენიმე დაპირისპირება მოხდა „ქართული ოცნების“ ოფისთან, სადაც მოძრაობა „შეცვალეს“ და „სირცხვილიას“ აქტივისტები საპროტესტო აქციას ატარებდნენ და „ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მივიდნენ. ფიზიკური დაპირისპირების შედეგად, რამდენიმე პირი დაშავდა, რამდენიმე ახალგაზრდა დაკავეს. ოპოზიცია კიევიდან ახალ დირექტივებს ელის, ასე, რომ ერთად ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.**

ნელი თორდია
571 35 36 88





# იმპიჩმენტი – საცირკო სანახაობის მეორე აქტი

სერიალის, სახელად „იმპიჩმენტის“ პირველი ნაწილის შემდეგ ანტრაქტი გამოცხადდა. დიახ, უკვე ირონიით საუბრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტოლოგები პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წინააღმდეგ აგორებულ ე.წ. იმპიჩმენტის პროცედურას. უფრო მეტიც, რესპუბლიკელმა კონგრესმენმა სონდლანდმა, საკვანძო მოწმის გამოკითხვის დაწყებამდე ასე მიმართა დემოკრატ კოლეგებს: „…მოგესალმებით საცირკო სანახაობის მეორე აქტზე“. ირონიის საფუძველი დონალდ ტრამპის მომხრეებს საკმაოდ აქვთ. იმპიჩმენტის პროცედურის დროებითი შეჩერების მიზეზი აშშ-ი „მადლიერების დღესთან“ დაკავშირებული ხანმოკლე არდადეგები გახდა. თუმცა, ექსპერტების შეფასებით, კონგრესში დაწყებული გამოკითხვების, შედეგებიდან გამომდინარე დემოკრატები ხელმოცარულები დარჩნენ.

საკვანძო მოწმეების გამოკითხვების დაწყებამდე, რომლებზეც განსაკუთრებულ დიდ იმედებს ამყარებდნენ დემოკრატები, აშშ-ი ანონიმმა ავტორმა(?)გამოსცა წიგნი, რომელიც ტრამპის საწინააღმდეგოა. მიმომხილველების ინფორმაციით, ნაშრომ-





ში ისეთი საკითხებია განხილული, რომლებიც მხოლოდ შინაურებმა იცოდნენ. ვარაუდობენ, რომ ანონიმი ავტორი თეთრ სახლში მუშაობს. საინტერესოა ერთი გარემოებაც, ავტორის აზრით დონალდ ტრამპი დემოკრატებს იოლად არ დანებდება და არც თანამდებობიდან წავა.

დემოკრატების ერთ-ერთი მთავარი მოწმე აშშ-ს არმიის პოდპოლკოვნიკი ალექსანდრ ვინდმანი გახლდათ. იგი ყოფილ საბჭოთა კავშირში, უკრაინაშია დაბადებული. სამი წლის იყო, როდესაც მისი ოჯახი საცხოვრებლად აშშ-ი წავიდა. მოწმემ კონგრესს ტრამპის წინააღმდეგ მისცა ჩვენება. მისი მტკიცებით, ტრამპი დაჟინებით ითხოვდა ჯო ბაიდენის წინააღმდეგ მოკვლევის დაწყებას. თუმცა, აშშ-ს ყოფილმა სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინაში კურტ უოლკერმა კონგრესის წინაშე განაცხადა, ამის შესახებ არაფერი ვიციო. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვისას ვანდმანს ნერვიულობისგან ხმა და ხელები უკანკალებდა, რის დამალვასაც ხუმრობანარევი ტონით ცდილობდა, მაგრამ ცუდად გამოსდიოდა. მისივე მტკიცებით, უკრაინის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი დანილიუკი თავის ქვეყანაში თავდაცვის მინისტრის პოსტს სთავაზობდა, რაზეც მან სამჯერ უთხრა უარი.

სესაციური აღმოჩნდა აშშ-ს თეთრი სახლის ნაცუსაფრთხოების დირექტორის მორისონის განცხადება. დირექტორის ინფორმაციით ვინდმანი მის მოადგილედ მუშაობდა და თურმე სწორედ იგი ავრცელებდა თეთრი სახლიდან საიდუმლო ინფორმაციებს. დონალდ ტრამპის განცხადებით, პირადად არ იცნობს ვინდმანს. „…თურმე სამსახურში სამხედრო ფორმით დადიოდა“, გაკვირვებულმა უთხრა ჟურალისტებს პრეზიდენტმა. დემოკრატი კონგრესმენები იძულებულები გახდნენ დახმარება აშშ-ს არმიისთვის ეთხოვათ ვინდმანის დაცვისთვის. არმიელები დათანხმდნენ. მათი განცხადებით მზად არიან მოწმე რომელიმე დახურულ სამხედრო ბაზაზე გადაიყვანონ და გადამალონ.

იმედები ვერც გორდონ სონდლანდმა, აშშ-ის ელჩმა ევროკავშირში გაუმართლა დემოკრატებს. იგიც საკვანძო მოწმედ მიიჩნეოდა და მის ჩვენებაზე იყო დამოკიდებული ექნებოდათ თუ არა დემოკრატებს ტრამპის გადაყენების საფუძველი. თუმცა, მისმა დაბნეულმა ჩვენებამ ტრამპის სასარგებლოდ იმუშავა.



კონგრესში მოსმენების პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ, დონალდ ტრამპმა იმპიჩმენტის მცდელობას სასაცილო უწოდა. კონგრესის სპიკერმა და იმპიჩმენტის ერთ-ერთი თაოსანი ნენსი პელოსი ბრიფინგზე დაბნეული იყო. ჟურნალისტის კითხვაზე, აქვთ თუ არა კონგრესმენ დემოკრატებს იმპიჩმენტის განსახორციელებლად ხელჩასაჭიდი მასალები, ხელები უმწეოდ გაშალა. ამით ფაქტობრივად აღიარა ბრალდებების უსაფუძვლობა. დონალდ ტრამპი მზად არის მივიდეს კონგრესში მოსმენებზე. ამასთან წინააღმდეგი არ იქნება თუ იმპიჩმენტს გამოუცხადებენ. ექსპერტების შეფასებით, მოვლენების მსგავსი განვითარება დემოკრატებს არ აწყობთ. იმპიჩმენტის გამოცხადების შემთხვევაში, პროცედურა სენატში გადაინაცვლებს. იქ რესპუბლიკელები თავიანთ მოწმეებს წარადგენენ, რომლების მოსმენაზეც კონგრესმა უარი განაცხადა და საქმე თავდაყირა დადგება. მსგავსმა გარემოებამ კი, ექსპერტების განცხადებით, შესაძლოა დემოკრატების იმიჯი დაასამაროს.

ამერიკელი პოლიტოლოგების შეფასებით, კონგრესში მოსმენების პირდაპირი ტელეჩართვები დიდი შეცდომა იყო. მათივე განცხადებით, მსგავსი ვითარება აშშ-ი სამოქალაქო ომის შემდეგ აღარ ყოფილა. რესპუბლიკელებს და დემოკრატებს შორის ყოველთვის იყო დაპირისპირება, მაგრამ ახლა მათ შორის უფსკრულია. მათივე შეფასებით, ახლა აშშ-ი ცივი სამოქალაქო ომია, რაც ადვილი შესაძლებელია მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

ამასობაში კი დონალდ ტრამპი პოზიციებს იმყარებს. ექსპერტების შეფასებით, კონგრესში მოსმენებმა მოქმედ პრეზიდენტს უფასო სარეკლამო სამსახური გაუწია. მისმა სავარაუდო კონკურენტმა, მილიარდერმა მაიკლ ბლუმბერგმა მოკლე დროში რეკლამაში უკვე 35 მილიონი დახარჯა. თუმცა უმოქმედოდ ტრამპი არ ჩერდება და საკუთარი იმიჯის გასამყარებლად საქმიანობს. ტრადიციულად აშშ-ი „მადლიერების დღეს“ ხალხი საკუთარ სახლში, შინაურულ ატმოსფეროში ატარებს. არსებული ტრადიცია ტრამპმა ნაწილობრივ დაარღვია. წესისამებრ, აშშ-ს პრეზიდენტი „მადლიერების დღეს“ ინდაურს იწყალებს. ტრადიციული პროცედურის შემდეგ, ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბარში თავისი კონკურენტები იუმორით გაკენწლა: „…დემოკრატები ახლა იმასაც დამაბრალებენ, რომ ინდაურს მეტისმეტად შემწყნარებლურად მოვექეცი“. ამის შემდეგ კი დონალდ ტრამპი ყველასთვის მოულოდნელად ავღანეთში, ბაგრამის აშშ-ის სამხედრო ბაზას მელანიას გარეშე ესტუმრა.

მოგზაურობა ავღანეთში სრულიად გასაიდუმლოებული იყო. ტრამპის თანამგზავრ ჟურნალისტებს წინასწარ ჩამოართვეს მობილური ტელეფონები და პლანშეტები. აუკრძალეს ყოველგვარი ფოტო-ვიდეო გადაღება. არავინ იცოდა სად ან რისთვის მიდიოდნენ. ბოლოს კი ბაგრამის ბაზაზე აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის გასაიდუმლოების მიზნით საპრეზიდენტო თვითმფრინავი, ბორტი №1 დისლოკაციის ადგილზე დარჩა, სხვა თვითმფრინავით იმგზავრეს. ბაგრამში ტრამპი 3 საათი იმყოფებოდა, ესაუბრა სამხედროებს, მათთან ისადილა, მიირთვა მხოლოდ კარტოფილის პიურე, ინდაურის ხორცისთვის კი პირი არ დაუკარებია. ავღანეთში წასვლა, მართალია გასაიდუმლოებული იყო, ბოლოს გაირკვა სამზადისი თურმე რამდენიმე კვირის წინ დაიწყო.



პოლიტოლოგებმა დონალდ ტრამპის ავღანეთში ჩასვლა დადებითად შეაფასეს. თუმცა არ ეთანხმებიან ჯარების ავღანეთიდან გაყვანას. მათი შეფასებით, ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ავღანეთი ტერორიზმის ახალ ცენტრად იქცეს, მიუხედავად ტრამპის მცდელობისა „თალიბანის“ ლიდერებთან აწარმოოს მოლაპარაკება მშვიდობის დასამყარებლად. პოლიტოლოგების შეფასებით, ტრამპმა ავღანეთში ჩასვლით კიდევ ერთი ქულა შესძინა საკუთარ რეიტინგს.

ნატოს მიმდინარე სამიტი უთანხმოების ფონზე დაიწყო, სადაც ალიანსის ქვეყნებს ძირითადად ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევა მოუხდებათ. გასულ კვირას საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა თურქეთის ნატოდან გარიცხვის საკითხი წამოჭრა, რამაც თურქი კოლეგა რეჯეფ ტაიფ ერდოღანი განარისხა. ერდოღანმა მაკარონს გაახსენა „ნატოს ტვინის სიკვდილზე“ გამონათქვამი და ურჩია საკუთარი ტვინი შეამოწმოს ტვინის სიკვდილზე. საფრანგეთის ხელისუფლებამ ერდოღანის ნათქვამი შეურაცხყოფად მიიღო და სასწრაფოდ დაიბარეს თურქეთის ელჩი ელისეის სასახლეში. გავრცელებული ინორმაციით, ალიანსის წევრ-ქვეყნებს მაკარონთან ცალკე საუბარი ექნებათ მკვახე გამონათქვამებზე. ლონდონში ისაუბრებენ ასევე ნატოს წევრი ქვეყნების მიერ რუსეთისგან იარაღის შესყიდვის მიუღებლობაზე. გასულ კვირას მაკარონის განცხადება „…ჩვენი (ანუ ალიანსის) საერთო მტერი არა რუსეთი ან ჩინეთია, არამედ ტერორიზმი“ ექსპერტები ალიანსის შიგნით უთანხმოებად აფასებენ.

მსოფლიოს პოლიტოლოგების ვარაუდით, უახლოეს პერიოდში ნატოს და ევროკავშირის დაშლას გამორიცხავენ. თუმცა, იქვე აღნიშნავენ ქვეყნებს შორის არსებულ უთანხმოებას, რომლის მოგვარება მათ იოლად არ მიაჩნიათ. თუმცა აღნიშნავენ, ყოველგვარი პრობლემა დიპლომატიური გზით და არა ძალისმიერი მეთოდებით არის შესაძლებელი — დაველოდოთ სამიტის დასრულებას, რომლის შემდეგაც გაიფანტება ნისლი მსოფლიოს პოლიტიკის ატმოსფეროში.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „ოპოზიციონერებო“, თქვე ჩემისებო!

## საგანგებო მიმართვა ე.წ. გაერთიანებულ „ოპოზიციას“

სანამ თქვენი ავი ზრახვების განხილვაზე გადავალ, მინდა, რამდენიმე რჩევა მოგცეთ და რამე-რუმეებიც შემოგთავაზოთ. მაგალითად, მიკვირს, რატომ ვერ ვხედავ თქვენს რიგებში ღვაწლმოსილ ირინა სარიშვილს? აბა, ერთი გამოდით ნებისმიერი და თქვით, რომელი ხართ მაგაზე გამოცდილი, რომელს გაქვთ მაგაზე მეტი პრაქტიკა ხელისუფლების დამხობის საქმეში? ნუ, ეხლა, ყველანი იმ ასაკისანი ხართ, კარგად უნდა გახსოვდეთ (ზოგიერთნი მისი თანამებრძოლობით უნდა ამაყობდეთ კიდევაც), როგორ მოუწყო ზვიად გამსახურდიას პროვოკაცია კინოს სახლთან, როგორ გაისროლა „ფიშტო“ მცირერიცხოვან აქციაზე, როგორ დაჭრა ვიღაცა, როგორ ატეხა ერთი ამბავი, შემდეგ ქმართან ერთად როგორ გაფრინდა მოსკოვში ედუარდ შევარდნაძესთან, როგორ ჩამოიტანეს ჩემოდნებით ფული და როგორ დაამხეს ეროვნული ხელისუფლება. დიახ, თქვენ ამის შესახებ ჩემზე უკეთესად იცით, რადგან მისი თანამოაზრეები იყავით, მაგრამ ვისაც არ ახსოვს, ვინც მაშინ დაბადებული არ იყო (თქვენს რიგებში ასეთები არც არიან), მათ გასაგონად ვიტყვი: ეეე... ირინას რომ საქმეები აქვს ნაკეთები, ზოგიერთს არც კი დაგესიზმრებათ!

სხვათა შორის, ირინამ ჩაშვება იცის, იმის დედა ვატირე, მას შეუძლია, შექმნას პარტია... უფრო სწორად, სათავეში ჩაუდგეს რუსეთიდან დაფინანსებულ პარტიას, რამდენიმე თვეში ამ პარტიის ყველა წევრი დააპატიმრებინოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით და თვითონ გამოვიდეს მშრალზე. არა, თქვენ ამ მხრივ საფრთხე არ გემუქრებათ, თქვენ ხომ საკუთარი პარტიები გაქვთ, სადაც მხოლოდ თითო-ოროლანი ხართ



გაწევრიანებულნი? მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ შეგიძლიათ, ეფექტურად გამოიყენოთ ამ ქალის ნიჭი და გაქანება. რა გავაკეთო, უფრო მარტივად აგიხსნათ? კაი, ბატონებო და ქალბატონებო... ესე იგი, თქვენ ირინასგან ისწავლით, როგორ გაისროლოთ აქციაზე, როგორ დაჭრათ ვინმე, თუნდაც მოკლათ და შემდეგ როგორ შეტენოთ ეს ყველაფერი ხელისუფლებას ისე, რომ ამავე დროს შეინარჩუნოთ პროდასავლური იმიჯი. როდესაც ბოქლომებით და ჯაჭვებით დარბიხართ, ირინა კვდება სიცილით, რაღა დროს ბოქლომებია, ესენი საერთოდ ხომ არ გამოყლევდნენო?!

ჟოპოზიციონრებო, თქვე ჩემისებო!

გირჩევთ, კონსულტანტად აიყვანოთ მხცოვანი, მაგრამ გულით ახალგაზრდა თენგიზ კიტოვანი, რომელსაც დაწერილი აქვს ნაშრომი სათაურით: „ბოქლომი არა, ჩემი ფეხები“. დიახ, შეიძლება ეს ნაშრომი წაკითხული გაქვთ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ მასში განხილულია კრიზისული სიტუაციები და მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ დავამხოთ ხელისუფლება ბოქლომების გარეშე სრულიად უბრალოდ, ერთი ჟანგიანი ზარბაზნით. მართალია, ახლა სხვა დროა, ჟანგიანი ზარბაზნის იდეა აღარ ჭრის, მაგრამ დაუძახეთ ამ კაცს, ჯერ ერთი – თქვენი ჭკუისაა და გამოგადგებათ თუნდაც მრავალფეროვნებისთვის, მეორეც – ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის თქვენი წინაპარია და არ უნდა დაივიწყოთ, ვინც წინაპარს ივიწყებს, მას მომავალი არ აქვს. მეტიც, ბევრი თქვენგანი მას პირადად იცნობთ, მასთან მეგობრობდით მხოლოდ პიროვნულად კი არა, ოჯახებითაც კი (დიახ, თქვენ გეუბნებით, ქალბატონო ნინო ბურჯანაძევ). გარდა ამისა, ზოგიერთნი მის ლაჯებქვეშ დაძვრებოდით ავტომატებით (თქვენ მოგმართავთ, გიგა ბოკერიავ, გოკა გაბაშვილო, გიორგი ბარამიძევ და სხვებო, თქვე ჩემისებო!). მივმართავ გოკა გაბაშვილს: შენა, ბიჭო, რეიზა აღარ სცემ პატივს მამა კოტეს ძმაკაცებს, რა წესია ესა? ვიმეორებ – არ ვარგა წინაპრების დავიწყება, ულამაზოა. სხვათა შორის, ჩემო „ჟოპოზიციავ“, უნდა გაგაფრთხილო, რომ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში, როცა პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარიაა, შინაგან საქმეთა მინისტრი – ვახტანგ გომელაური, ხოლო თავდაცვის მინისტრი – ირაკლი ღარიბაშვილი, თენგო ძიას პროექტის განხორციელება ძალიან გაჭირდება, ქაშუეთში ზარბაზანი კი არა, შეშაც ვერ შეგიტანიათ, მაგრამ მაინც დაელაპარაკეთ, რამე „სმეშნოი“ ამბებს მაინც მოგიყვებათ თავისი ბობოქარი ცხოვრებიდან და შეიძლება გამოგადგეთ.

ჟოპოზიციონრებო, თქვე ჩემისებო!

კიდევ ერთი ჭკვიანური რჩევა: ვხედავ, ბოლო დროს თქვენი შვილების ჩართვას ლამობთ პოლიტიკაში, ასეთი ხუთიოდე დაგთვალეთ და ეგრევე მიგიხვდით, რაც გამოძრავებთ. პირდაპირ გეტყვით, ვინაიდან საქმე ენას, მამულს და სარწმუნოებას ეხება, აღარ მოგერიდებით. მოკლედ, თქვენ არ ხართ ის ადამიანები, ვინმეს, თუნდაც შვილებს, ან დებს, ან ძმებს, ან მეგობრებს, ან შორეულ ნათესავებს, ან მეზობლებს რამეს დაუთმობთ, მით უმეტეს, პოლიტიკაში და მით უმეტეს, ე.წ. ოპოზიციურ ფლანგზე, სადაც კაი ფული კეთდება, თქვენ შვილები მხოლოდ იმიტომ გამოიყვანეთ, რომ გათახსირებულობის გაკვეთილები ასწავლოთ თქვენსავე მაჰალითზე. თეორიაში რაღაც-რაღაცები იცოდნენ და ახლა პრაქტიკაზე დაგყავთ. აი, ამისთვის გჭირდებათ თქვენ მომავალი თაობა. მე კიდევ გირჩევთ, ჩართეთ თქვენი შვილები უფრო სერიოზულ საქმეში – ხანდახან წყლის მოტანაც დაავალეთ ხოლმე, შემდეგ ერთი ხე დაარგვევინეთ და ასე შემდეგ. არ მაქვს იმედი, რომ ამას გააკეთებთ, მაგრამ მაინც გირჩევთ.

და ბოლოს... ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა: წადით სახლში, დაალაგეთ თქვენი ბებერი, ათეულწლობით ნატანჯი ძვლები ბუხართან, ან რადიატორთან, ან სულაც შეშის „ფეჩთან“, აიღეთ ხელში ჯორჯ ორუელის წიგნი („ცხოველების ფერმა“), ეგ მაინც წაიკითხეთ (სხვა წიგნების საკითხავად თქვენ არასოდეს გეცალათ), იქნებ დაფიქრდეთ, იქნებ ამოიცნოთ საკუთარი თავი (აუცილებლად ამოიცნობთ) და შვილიშვილებს, შვილთაშვილებს მაინც უთხრათ სიმართლე? არც მაგის იმედი მაქვს, რომ ასე მოიქცევით, თქვე ჩემისებო, მაგრამ მაინც გირჩევთ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61















# ამერიკის სარეზერვო სისტემის შექმნის დეტექტიური ისტორია



„როგორც აღმოჩნდა, ამერიკის ფედერალური სარეზევრო სისტემა როტშილდების ფინანსური კლანის წარმონაქმნია და დაფუძნებულია რუსეთისა (88,8%) და ჩინეთის ოქროზე“, — აცხადებს რუსეთის სამეფო ოჯახის ისტორიკოსი სერგეი ჟელენკოვი.

რუსეთის იმპერატორს ალექსანდრ II, განმათავისუფლებელსა და აშშ-ის პრეზიდენტს აბრაამ ლინკოლნს სძულდათ როტშილდები, რომლებიც ევროპულ, ბრიტანულ და ამერიკულ ეკონომიკას მიეტმასნენ და ასევე უნდოდათ, ეკონტროლებინათ მთელი საერთაშორისო პოლიტიკა.

ორი ქვეყნის დედაქალაქს — პეტერბურგსა და ვაშინგტონს არ შეეძლო ფინანსური წინააღმდეგობა გაეწია ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური კლანისთვის. ამიტომ ორივე მმართველმა გადაწყვიტა, ამ ორი ქვეყნის ეკონომიკების უფრო



დინამიკური განვითარების მიზნით შეექმნათ ერთობლივი რუსულ-ამერიკული ტრასტი.

ამასთან, როგორც ალექსანდრეს, ასევე ლინკოლნსაც პირადი წყენა ჰქონდათ როტშილდების მიმართ. კლანმა ამერიკის პრეზიდენტი თავიანთ ნომერ პირველ მტრად გამოაცხადა იმის გამო, რომ მან უარი თქვა ამერიკის კერძო ცენტრალური ბანკის აღსგენასა და დოლარის ოქროს ეკვივალენტის შემოტანაზე იმ დროს, როცა მსოფლიოს ოქროს უდიდესი ნაწილი უკვე როტშილდებს ეკუთვნოდა. კლანი რუსეთშიც შეეცადა ცენტრალუტი ბანკის შექმნას, რომელიც მათი კონტროლის ქვეშ იქნებოდა. ალექსანდრე II მათი გეგმები ჩაშალა.

რუსი მონარქი ამერიკელი მმართველის მიმართ მხოლოდ თანაგრძნობით როდი შემოიფარგლა, მისი განკარგულებით, ამერიკის ნაპირებთან ორი საზღვაო (საოკეანო) საიმპერატორო ესკადრა ჩავიდა. რუსეთის იმპერატორმა განაცხადა, რომ თუ ინგლისი ან საფრანგეთი რაიმეს მოიმოქმედებდნენ სამხრეთის მხარდასაჭერად, რუსეთი ამას ომის გამოცხადებად ჩათვლიდა.

ლონდონსა და პარიზს უკან დახევამ მოუწიათ. ყირიმში კი თავმოყრილი იყო 50 ტონა ოქროს ზოდები, რომელიც რუსულ-ამერიკული ტრასტის შექმნისთვის იყო გამიზნული. ოქრო განსაკუთრებული სამხედრო რაზმის თანხლებით ესპანეთის მთებში სპეციალურ საცავში გადაიტანეს.

ტრასტის შექმნის პროექტი ჩაიშალა. აბრაამ ლინკოლნი თეატრში მოკლეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი, მორიგი თავდასხმის შედეგად ალექსანდრე II გარდაიცვალა. ოქრო ესპანეთში დარჩა.

შემთხვევითობაა თუ არა, რომ როტშილდების ორივე მტერი მოკლეს და მათ გზა გაეხსნათ მსოფლიო ფინანსური მმართველობისკენ?

რა ერთობლივ პროექტებზე იყო საუბარი, უცნობია, რადგან არქივები განადგურებულია. თუმცა ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ ზოგიერთი ხელშეკრულების ორიგინალი დღესაც იმ მოვლენების მონაწილეების შთამომავლებთან ინახება.

ნიკოლოზ II ესმოდა, რომ საჭირო იყო ზესახელმწიფოებრივი ორგანოს შექმნა, რომელიც მოაგვარებდა სახელმწიფოთა შორის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ წინააღმდეგობებსაც. უკვე მისი ტახტზე ასვლიდან სამი წლის შემდეგ ნეიტრალურ ჰააგაში გაიმართა პირველი სამშვიდობო



კონფერენცია, სადაც, შეიარაღების შეზღუდვისა გარდა, ჰააგის საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს.

არბიტრაჟის მუშაობის პრინციპები, რომლებიც ასი წლის წინათ განისაზღვარა, დღესაც უცვლელია. მეორე კონფერენცია 1907 წელს გაიმართა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ინიციატივით.

1904 წელს 48 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა საიდუმლო სხდომაზე, პარიზში, დაამტკიცეს საერთაშორისო საფინანსო სისტემისა და ფულადი მასის მსოფლიო წყაროს შექმნის პროცედურა. ასევე, სხვა სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, რომლებიც ჰააგის კონფერენციის მუშობაში იღებდნენ მონაწილეობას, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთა ლიგის შექმნის შესახებ.

ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების უზრუნველყოფის მიზნით გადაწყდა ერთა ლიგის ბაზაზე შექმნილიყო მსოფლიოს საფინანსო ცენტრი ერთიანი ვალუტით.

ერთა ლიგის საერთაშორისო საფინანსო სისტემის საწესდებო კაპიტალში რუსეთმა როტშილდების სახლის ბანკირის საშუალებით 48,6 ათასი ტონა ოქრო შეიტანა, რომელიც ესპანეთში ინახებოდა. ამ შენატანის ნახევარი გადაიგზავნა ამერიკაში, ფორტ ნოქსში, ნახევარი კი კუნძულ მაიორკის მიწისქვეშა საცავებში დარჩა, რომელიც დღემდე ესპანეთის ბალეარის კუნძულების შემადგენლობაში შედის.

რომანოვების ოჯახი მსოფლიოში უმდიდრესი სამეფო ოჯახი იყო. ალასკადან და რუსული კალიფორნიიდან გაიტანეს 26 ათასი ტონა ოქრო. სამეფო ხაზინაში ინახებოდა ფრანგული ოქრო, რომელიც ნაპოლეონზე გამარჯვების შემდეგ კონტრიბუციის სახით მიიღო რუსეთმა. რუსულ-ამერიკული ტრასტის შექმნაში ჩართული იყვნენ იმპერიის უმსხვილესი კერძო ოქროს მომპოვებლები.



თუმცა, იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელთაც ხელი მოეწერა, ოქრო ნიუ-იორკში უნდა ყოფილიყო შენახული. ამ შენატანით (1904–1912 წწ.) რუსეთის იმპერიამ მიიღო უფლება 52 მლრდ დოლარის (ოქროთი) აქტივების ფლობაზე.

როტშილდის ფინანსისტებმა დააფინანსეს ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვულსონის საარჩევნო კამპანია და აიძულეს იგი, 1913 წლის შობამდე ორი დღით ადრე გადაეცა მათთვის კერძო საკუთრებაში ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელმაც მსოფლიო საფინანსო სისტემა ჩაანაცვლა.

ამგვარად, ფედერალური სარეზევრო სისტემის 88,8% დღემდე რუსეთის მფლობელობაშია, დანარჩენი 11,2% კი ჩინელი ბენეფიციარებისა, რომლებსაც კურატორობას უწევს ჩინეთის ბოლო იმპერატორის შვილიშვილი.

საბჭოთა პერიოდში ამ ოქროზე არ ლაპარაკობდნენ.

რუსი ისტორიკოსების ვერსიით, რუსეთსა და ამერიკას შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება რუსული ოქროს 100-წლიანი იჯარის შესახებ, წლიური 4%-იანი განაკვეთით, რომელიც 2013 წელს დასრულდა. იმავე პერიოდში გამოუშვეს ოქროს 12 სერტიფიკატი წარმომდგენზე, რომელიც ნიკოლოზ II გადაეცა.

ეს სერტიფიკატები იმპერატორმა გრიგორი რასპუტინს გადასცა შესანახად, მაგრამ იგი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ისევ მფლობელს დაუბრუნა.

ბრიტანელებს რასპუტინის მიმართ თავიანთი ანგარიში ჰქონდათ. როგორც ცნობილია, რასპუტინმა სთხოვა იმპერატორს, ჯერ კიდევ 1912 წელს, მონაწილეობა არ მიეღო ბალკანეთის ომებში, რითაც, ფაქტობრივად, ორი წლით გადაწია პირველი მსოფლიო ომის დაწყება. იგი ასევე 1914 წელსაც ევედრებო-



და ნიკოლოზს, გერმანიასთან არ ეომა და დიდ უბედურებას უწინასწარმეტყველებდა. მეფეს რომ რასპუტინისთვის დაეჯერებინა და გერმანიასთან სეპარატულ ზავზე წასულიყო და თავიდან რომ აეცილებინა რევოლუციური სიტუაციის შექმნა, ინგლისსა და საფრანგეთს უფრო ძლიერ მოწინააღმდეგესთან მოუწევდათ ბრძოლა და გერმანია გამიარჯვებდა.

ბრიტანელი ისტორიკოსების მასალებზე დაყრდნობით, გრიგორი რასპუტინის მკვლელობის ინიციატორი პოდპოლკოვნიკი სამუელ ხოარი გახლდათ. ხოარმა დაარწმუნა კამინგი რასპუტინის ლიკვიდაციის აუცილებლობაში. მას ძლიერი კოზირის იმედი ჰქონდა. ინგლისის საიდუმლო სამსახურის მი-6-ის თანამშრომელი ოსვალდ რეანერი რასპუტინის მტრის, თავად ფელიქს იუსუპოვის მეგობარი იყო. ისინი ერთად სწავლობდნენ ოქსფორდში და ჰომოსექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ. იუსუპოვი, ამასთან, ანგლოფილიც იყო, თან პეტერბურგის უმაღლეს წრეებში ბევრი მეგობარი ჰყავდა და ისე შეეძლო რასპუტინის წინააღმდეგ „რუსული შეთქმულების“ მოწყობა, რომ ინგლისელები არსად გამოჩნდებოდნენ.

1916 წლის ზაფხულში მი-6-მა თანხმობა განაცხადა რასპუტინის მკვლელობაზე. ხოარი პეტერბურგში გააგზავნეს რეზიდენტად.

სხვათა შორის, ვიდრე იუსუპოვების სახლში, რასპუტინს მოკლავდნენ, მის სახლში ძალიან საფუძვლიანი ჩხრეკა ჩატარდა — ყველაფერი გაანადგურეს, დაჭრეს რბილი ავეჯი და ბალიშებიც კი, მაგრამ იმპერატორის სერტიფიკატები ვერ იპოვეს, რადგან ისინი კანონიერ მფლობელს ჰქონდა.

თითქმის ასი წელი ითვლებოდა, რომ რასპუტინი რუსმა პატრიოტებმა მოკლეს.

გრიგორი რასპუტინმა იწინასწარმეტყველა საკუთარი სიკვდილიც და ისიც, რომ მისი სიკვდილის



შემდეგ სამეფო დინასტიაც განადგურდებოდა. რასპუტინის მკვლელობიდან ორთვენახევრის შემდეგ ნიკოლოზ II ტახტიდან გადადგა, მერე კი მთელი ოჯახი ხელისუფლებაში მოსულმა კომუნისტემა დახვრიტეს.

არსებობს ვარაუდი, რომ სამეფო ოჯახის ლიკვიდაციის ბრძანება ლონდონიდან მოვიდა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983